პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 152 (11156) | შაბათი, 5 ივლისი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. ნოვოტნი საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერისადმი (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისათვის (მე-2 გვერდი).

ვ. შჩერბიცკი. — უკრაინის აყვავებისათვის ბრძოლის 40 წელი (მე-2 გვერდი).

დ. პაიჭაძე, ი. ნოღაიდელი. — მკაცრად დავიცავთ საკოლმეურნეო წესდების დამრღვევნი (მე-2 გვერდი).

ბ. დავითაია. — თუთის ხის სანერგე — გამოფენის მონაწილე. (მე-2 გვერდი).

მშრომელთა წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).

ა. დავითაშვილი. — კოოპერატიული მრეწველობა პრესისადმი ხელმძღვანელობა (მე-3 გვერდი).

ზ. კეცხოველი. — კოოპერაციის საერთაშორისო დღე (მე-3 გვერდი).

საქართველოს კურორტებზე. — ვ. ჭიოკაძე. — კვერეთი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სპორტის ამბები (მე-4 გვერდი).

## ავამაღლოთ სოფლის კომუნისტების აქტივობა და ინიციატივა

Საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის, მაისისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში შეასრულეს საგაზაფხულო სამუშაოები. მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა 10 ივნისისათვის 100,2 პროცენტით გაანაღდეს.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებიდან კოლმეურნეობებში კომუნისტი მექანიზატორების მუდმივ სამუშაოდ გადასვლასთან დაკავშირებით საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები გაიზარდნენ რიცხობრივად. ბევრ სატრაქტორო ბრიგადაში შეიქმნა პარტიული ჯგუფები. ამან დიდად გაზარდა კომუნისტთა პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისათვის, გაძლიერდა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მასებში. გაიზარდა სოფლის კომუნისტების აქტივობა და ინიციატივა.

უნარიანად წარმართავს კომუნისტების საქმიანობას გორის რაიონის სოფელ ზეღდულეთის სატრაქტორო ბრიგადას პარტიული ჯგუფი. ბრიგადამ 15 დღით ადრე დაამთავრა საგაზაფხულო სამუშაოები, პარტჯგუფში გაერთიანებული ყველა კომუნისტი გადაჭარბებით ასრულებს დავალებას. პარტჯგუფორგანიზატორი მ. ცერცვაძე უნარიანად ახამებს პოლიტიკურ მუშაობას სამეურნეო საქმიანობასთან. ჯგუფას კრებებზე სისტემატურად განიხილავენ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის, შრომის დისციპლინის, შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და სხვა საკითხებს.

რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლებში ამჟამად ცხარე დღეებია. წელს საქართველოს მშრომელებმა უნდა მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 125.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს სათოხნი კულტურების, ვენახების დამუშავება, კულტივაცია. აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ამჟამად სერიოზული ამოცანების წინაშე დგანან. დაიწყო მარცვლეული კულტურების მკა. სასოფლო პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა გააძლიერონ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღებისათვის, ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, აამაღლონ თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობას შესრულებისათვის, იზრუნონ კომბაინების, სალეწი მანქანების შეუფერხებელი მუშაობისათვის.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ბრწყინვალე მაგალითს გვიჩვენებენ ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კოლმეურნეობის მშრომელები. კოლმეურნეობამ ვადამდე შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის დავალება. ამ წარმატებათა მოპოვებაში დიდია საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტების როლი. პარტბიურო უნარიანად წარმართავს კომუნისტების საქმიანობას, დროულად ამჟღავნებს ნაკლოვანებებს და იღებს ზომებს ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. ამიტომ არის, რომ აქ კომუნისტები, ყველა კოლმეურნე გადაჭარბებით ასრულებენ ჩაის ფოთლის კრეფის ყოველდღიურ დავალებებს.

არის იმის ფაქტებიც, როცა ზოგიერთ რაიონში, წარმატებით შეასრულეს რა მარცვლეული და პარკოსანი კულტურების თესვის გეგმა, ამავე დროს ჩამორჩნენ საკვები ბალახების და ძირხვენების თესვაში. დმანისის, კასპის რაიონებსა და სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებში გაჭიანურდა ერთწლიანი ბალახების თესვა. არის სიგნალები, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია მოუმზადებელი შეხვდა მოსავლის აღების სამუშაოებს. მაგალითად, ყვარლის რაიონის სოფელ წიწკანაანთსერის კოლმეურნეობის პარტბიურო არ ზრუნავს საგიტაციო მუშაობის გაძლიერებისათვის. ამიტომ კოლმეურნეობის აგიტატორთა ერთი ნაწილი უმოქმედობას იჩენს, არ აწყობს საუბრებს მშრომელთათვის საინტერესო საკითხებზე. დიდი ნაკლია ისიც, რომ საგიტაციო მუშაობაში არ იყენებენ მასწავლებლებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს.

„სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გაუქმების შესახებ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ" საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ისტორიულ დადგენილებას ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობით უპასუხებენ. ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის, ნათესების სანიმუშოდ დამუშავებისათვის.

პარტიის სასოფლო რაიკომები მოწოდებული არიან ყოველი ღონისძიებით გააუმჯობესონ პირველადი პარტორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება, სოფლის კომუნისტების აქტივობა და ინიციატივა, აამაღლონ მათი ავანგარდული როლი წარმოებაში. იმაზე, თუ როგორ იმუშავებს თვითეული კომუნისტი თავის სამუშაო უბანზე, დიდად არის დამოკიდებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულება, საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი მძლავრი აღმავლობა.

## ბროშურად გამოიცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალები

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ბროშურად გამოსცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის ივნისის პლენუმის მასალები. ბროშურაში შედის: საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება „სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გაუქმების შესახებ. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ", მიღებული ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო 1958 წლის 18 ივნისს; ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება ამ საკითხზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1958 წლის 17 ივნისს.

ბროშურა გამოიცა მასობრივი ტირაჟით. (საქდესი).

## ამერიკის უნივერსიტეტების პრეზიდენტები თბილისში

გუშინ, 4 ივლისს თბილისს ჩამოვიდა ამერიკის უნივერსიტეტების პრეზიდენტთა ჯგუფი. ჯგუფს მეთაურობს პიტსბურგის უნივერსიტეტის პრეზიდენტი ედვარდ ლიჩფილდი. ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს სასწავლებელთა ხელმძღვანელები იყვნენ მოსკოვში, ლენინგრადში. ისინი ეცნობიან სწავლის დაყენებას საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში.

თბილისის აეროდრომზე სტუმრებს ამერიკის შეერთებული შტატებიდან შეხვდნენ ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გ. ს. ძოწენიძე, უნივერსიტეტისა და საქართველოს დედაქალაქის სხვა უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორები და მასწავლებლები.

ჩამოსვლის დღეს ამერიკის უნივერსიტეტების პრეზიდენტები ეცნობოდნენ თბილისს. (საქდესი).



მოსკოვი, კრემლი, 1958 წლის 3 ივლისი. ამხანაგ ანტონინ ნოვოტნისა და მისი თანმხლები პირების შეხვედრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებთან. ფოტო ა. ეგოროვისა.

## ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. ნოვოტნი საბჭოთა კავშირში

3 ივლისს საღამოს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ანტონინ ნოვოტნი ჩეხოსლოვაკიის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეების თანხლებით ლენინგრადს გაემგზავრა.

ამხანაგ ა. ნოვოტნისთან ერთად ლენინგრადს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი. (საქდესი).

• • •

**ლენინგრადი.** 4 ივლისი. (საქდესი). დღეს ლენინგრადელები დიდი გულითადობით შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტ ანტონინ ნოვოტნის, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეებს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელიც მათთან ერთად ჩამოვიდა.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ მოსკოვის ვაგზალში ძვირფას სტუმრებს შეხვდნენ ლენინგრადის მშრომელთა წარმომადგენელნი. წითელ ტრანსპარანტებს აწერია ჩეხოსლოვაკიის მოძმე ხალხის წარმოგზავნილებისადმი მეგობრული მისალმების სიტყვები.

შეკრებილნი მხურვალე ტაშით შეხვდნენ ა. ნოვოტნისა და ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელნიც ბაქანზე გამოჩნდნენ. ბავშვებმა ყვავილების თაიგულები მიართვეს სტუმრებს. პრეზიდენტმა ა. ნოვოტნიმ მიიღო საპატიო ყარაულის პატაკი. ზეიმოვნად ჟღერს ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად პრეზიდენტმა ა. ნოვოტნიმ ჩამოუარა საპატიო ყარაულის მწყობრს.

სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ვ. სპირიდონოვმა, საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ა. ნოვოტნიმ.

ა. ნოვოტნი, ნ. ს. ხრუშჩოვი და სხვა სტუმრები ღია მანქანებით გაემგზავრნენ სადღესასწაულოდ მორთულ ნევის პროსპექტზე. ათასობით ლენინგრადელი გულთბილად მიესალმა ძვირფას სტუმრებს.

* * *

მოკლე ხნის დასვენების შემდეგ ამხანაგებმა ა. ნოვოტნიმ და ნ. ს. ხრუშჩოვმა ჩეხოსლოვაკიის სხვა მოღვაწეებთან ერთად დაათვალიერეს ლენინგრადის ერთ-ერთი უძველესი საწარმო — კიროვის ქარხანა.

მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები გულითადად შეხვდნენ სტუმრებს. ამხანაგებმა ა. ნოვოტნიმ, ნ. ს. ხრუშჩოვმა ჩამოიარეს საამქროები, ესაუბრნენ მუშებს.

ქარხნის უზარმაზარ მოედანზე გაიმართა მრავალათასოვანი მიტინგი.

მეგობრებს ჩეხოსლოვაკიიდან და საბჭოთა მთავრობის მეთაურს მიესალმნენ მეფოლადე მ. ჟუკოვსკი, ინჟინერი ა. კანავინა და სხვები.

მიტინგზე გამოვიდნენ ა. ნოვოტნი და ნ. ს. ხრუშჩოვი. მათმა სიტყვებმა არაერთგზის გამოიწვიეს მქუხარე ტაში.

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერისადმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 2 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერს მიმართა წერილით, რომელიც ეხება უეცარი თავდასხმის თავიდან აცილების პრობლემას. ნ. ს. ხრუშჩოვი თავის წერილში წინადადებას იძლევა, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებმა გამოიჩინონ პრაქტიკული ინიციატივა ერთ სახელმწიფოზე მეორე სახელმწიფოს უეცარი თავდასხმის თავიდან აცილების ერთობლივ ღონისძიებათა შესახებ შეთანხმების დიდმნიშვნელოვან საქმეში. საბჭოთა მთავრობის აზრით, სასარგებლო იქნება, თუ უახლოეს დროში შესაბამისი წარმომადგენლები, მათ შორის ორივე მხარის სამხედრო უწყებათა წარმომადგენლები, მაგალითად ექსპერტთა დონეზე, რომელთაც დანიშნავენ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობები, ხოლო, შესაძლოა, ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს მთავრობებიც, შეხვდნენ ერთმანეთს ამ პრობლემის პრაქტიკული ასპექტების ერთობლივად შესწავლისათვის, შეიმუშაონ გარკვეული, წინასწარ განსაზღვრული ვადის განმავლობაში რეკომენდაციები უეცარი თავდასხმის შესაძლებლობის თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ. ამ მოლაპარაკების შედეგები შეიძლება განხილულ იქნეს მთავრობათა მეთაურების თათბირზე.

ერთ სახელმწიფოზე მეორე სახელმწიფოს უეცარი თავდასხმის შესაძლებლობის თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ შეთანხმების მიღწევის პრობლემას, აღნიშნულია საბჭოთა მთავრობის მეთაურის წერილში განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიეცა იმის გამო, რომ არსებობს საშიში პრაქტიკა ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების ფრენისა თერმოატომგულის ბომბების ტვირთით დასავლეთ ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე და არქტიკულ რაიონებში, სსრ კავშირის საზღვრების მიმართულებით.

## ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს კოოპერატივთა კავშირების სავაჭრო ურთიერთობა

3 ივლისს თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის მისასვლელი გზებიდან გაიგზავნა საქართველოს საუკეთესო შამპანური ღვინოებით დატვირთული ვაგონები. ყუთებს აწერია „ჩეხოსლოვაკიის კოოპერატივთა კავშირს".

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციასა და ჩეხოსლოვაკიის კოოპერატივთა კავშირის ურთიერთშეთანხმებით წელს მნიშვნელოვნად ფართოვდება საქონელგაცვლა ორ რესპუბლიკას შორის. ერთი თვის წინათ თბილისში იყვნენ ჩეხოსლოვაკიის კოოპერატივთა კავშირის წარმომადგენელნი. ისინი ეწვივნენ რესპუბლიკის მთელ რიგ კოოპერაციულ საზოგადოებებს, სამრეწველო საწარმოებს. მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ჩეხოსლოვაკიას მიაწოდონ 600.000 ბოთლი შამპანური, აგრეთვე ქართული ტკბილი ღვინოები „ახმეტურა", „ახაშენი", „ტვიში", „ხვანჭკარა", და სხვ. თვითეული ამ მარკის ღვინო გაიგზავნება 5-10 ათასი დეკალიტრის რაოდენობით. წელს ჩეხოსლოვაკიაში გაიგზავნება აგრეთვე ათასობით ტონა ვაშლი, მანდარინი, კაკალი, გამხმარი მოცვი, მეცხოველეობის ნედლეული — რქა, ჩლიქი და სხვ.

ჩეხოსლოვაკიის კოოპერატივთა კავშირი საქართველოს მოაწვდის შალისა და ბამბის ქსოვილებს, შეკერილ და ტრიკოტაჟის ნაწარმს, ფეხსაცმელს, ავეჯს, პიანინოებს, ფაიფურ-ქაშანურის ნაწარმს და სხვა სამრეწველო საქონელს.

საქართველოს და ჩეხოსლოვაკიის სამომხმარებლო კოოპერაციის საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციები მიმდინარე წელს 20 მილიონ მანეთს გადააჭარბებს. (საქდესი).

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

გაითვალისწინა რა სსრ კავშირის მოქალაქეთა სურვილი, რომ გაფართოვდეს ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ ი სახლებისა და აგარაკების კოოპერაციული მშენებლობა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიზანშეწონილად ცნო, ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განვითარებასთან ერთად ჩამოყალიბებული ფორმებით, უფრო ფართოდ განვითარდეს საბინაო მშენებლობისა და საიგარაკო მშენებლობის კოოპერაცია ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის და გარეუბნებში აგარაკების მშენებლობის განსახორციელებლად კოოპერატივის წევრთა საკუთარი სახსრებით.

საბინაო მშენებლობისა და საიგარაკო მშენებლობის კოოპერატივები ეწყობა საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების შუამდგომლობით მ შ რ ო მ ე ლ თა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან, მათი გადაწყვეტილებებით. საბინაო მშენებლობისა და საიგარაკო მშენებლობის კოოპერატივების წევრები მოვალენი არიან საცხოვრებელი სახლის (სახლების) ან აგარაკების მშენებლობის დაწყებამდე შეიტანონ ფულადი სახსრები მშენებლობის სრული ღირებულების ოდენობით.

კოოპერატივის წევრებსა და მათი ოჯახების წევრებს შეუძლიათ პირადად მიიღონ მონაწილეობა საცხოვრებელი სახლებისა და აგარაკების მშენებლობაში. მათი შრომითი დანახარჯის ღირებულება ჩაითვალოს იმ სახსრების თანხაში, რომლებიც შეტანილ უნდა იქნას მშენებლობის ღირებულების ასანაზღაურებლად.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს წინადადება მიეცათ საცხოვრებელი სახლებისა და აგარაკების მშენებლობა საბინაო მშენებლობისა და საიგარაკო მშენებლობის კოოპერატივებისათვის შეიტანონ საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმაში და ამ სახლებისა და აგარაკების მშენებლობა განხორციელდეს მას შემდეგ, რაც აღნიშნული კოოპერატივები ბანკში შეიტანენ საცხოვრებელი სახლის (სახლების) ან აგარაკების მშენებლობის სრულ ღირებულებას საბინაო მშენებლობის და საიგარაკო მშენებლობის კოოპერატივებთან შეთანხმებულ ვადებში.

საბინაო მშენებლობისა და საიგარაკო მშენებლობის კოოპერატივებისათვის საცხოვრებელი სახლები და აგარაკები უნდა შენდებოდეს ტიპობრივი პროექტების მიხედვით და გამონაკლისის სახით, კოოპერატივის წევრთა სურვილისამებრ ი ნ დ ი ვ ი დუალური პროექტებით, რომლებიც დამტკიცებულ იქნება დადგენილი წესით.

საცხოვრებელი სახლის (სახლების) და აგარაკების მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება უნდა განისაზღვროს დაპროექტების, კეთილმოწყობის, გამწვანების და კომუნიკაციათა გაყვანის ხარჯების გათვალისწინებით, ამასთან მხედველობაში უნდა იყოს მიღებული საშენი მასალების, ნაკეთობათა, დეტალების, ნახევარფაბრიკატებისა და ინსტრუმენტების გაცემის პირობები, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 22 თებერვლის №1996 განკარგულებით.

საბინაო მშენებლობისა და საიგარაკო მშენებლობის კოოპერატივები აშენებულ საცხოვრებელ სახლებსა და აგარაკებს ექსპლოატაციას უწევენ კოოპერაციული საკუთრების უფლებებით და თვითგამოსყიდვის საწყისებით.

სახელმწიფო საცხოვრებელ ფართობს, სადაც საბინაო მშენებლობის კოოპერატივების წევრები ცხოვრობდნენ კოოპერატივის სახლში საცხოვრებელი ფართობის მიღებამდე, ისინი გადასცემენ ადგილობრივი საბჭოების განკარგულებაში.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ დაამტკიცონ საბინაო მშენებლობისა და საიგარაკო მშენებლობის კოოპერატივების სანიმუშო წესდებანი. საბინაო მშენებლობის კოოპერატივის შესაქმნელად საჭიროა გაერთიანდეს სულ ცოტა 10 მოქალაქე. კოოპერატივის წევრთა რიცხვი არ შეიძლება აღემატებოდეს იმ ბინების რიცხვს, რომლებსაც კოოპერატივი აშენებს. კოოპერატივის მოწყობის საკითხს მშრომელები აღძრავენ საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის წინაშე. რამდენიმე პატარა საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მუშებსა და მოსამსახურეებს, აგრეთვე პენსიონერებს შეუძლიათ გაერთიანდნენ ერთ საბინაო მშენებლობის კოოპერატივად.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად შეიმუშაონ დებულება საბინაო მშენებლობისა და საიგარაკო მშენებლობის კოოპერატივების მიერ საცხოვრებელი სახლებისა და აგარაკების მშენებლობის დაფინანსების წესის შესახებ და დაუგზავნონ იგი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებს, სამხარეო, საოლქო და საქალაქო საფინანსო განყოფილებებს, გრძელვადიანი დაბანდების ბანკებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებსა და ცენტრალურ დაწესებულებებს.

პარტიული ცხოვრება

# ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისათვის

ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა ქიმიური მრეწველობის პირველი მსხვილი საწარმოა საქართველოში. აღსანიშნავია, რომ სამამულო ომამდე ქარხნის საპროექტო სიმძლავრე სანახევროდაც არ იყო ათვისებული. ამჟამად კი მისი სიმძლავრე, მთელ რიგ ტექნიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად, საპროექტო სიმძლავრესთან შედარებით 190 პროცენტით გაიზარდა.

წინათ, მრეწველობის მართვის ძველი სისტემის პირობებში, უწყებრივი ბარიერები საწარმოს ძლიერ უშლიდა ხელს ბარიტით შეუფერხებლად მომარაგებაში. ახლა კი, როცა ქარხანა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს დაქვემდებარებაშია გადასული, იგი მთლიანად უზრუნველყოფილია ბარიტით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილებამ ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების შესახებ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ქუთაისელ მელიტოპონეთა მძლავრი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. მათ 1958 წლის 6 თვის საწარმოო დავალება საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში 101,4 პროცენტით შეასრულეს. საწარმო რიტმულად, გამართულად მუშაობს.

ქარხნის პარტბიურო სათანადო მუშაობას ეწევა მელიტოპონეთა შორის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტებისათვის. დიდი აქტივობით ჩაიარა კომუნისტთა კრებამ, რომელიც მაისის პლენუმის შედეგების განხილვას მიეძღვნა. კრების მოწვევამდე რამდენიმე დღით ადრე პარტიულმა ბიურომ გამოჰყო კომისია, რომელმაც შეისწავლა მდგომარეობა ცალკეულ საამქროებში და შეიმუშავა ღონისძიებანი. პარტიულ კრებაზე მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შედეგები და პარტიული ორგანიზაციის ამოცანები" გააკეთა ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ს. სადუნიშვილმა. მომხსენებელმა და კამათში მონაწილე კომუნისტებმა ერთსულოვნად მოიწონეს მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი და წამოაყენეს თავიანთი წინადადებანი ამ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა დაჩქარებული ტემპით ვაწარმოოთ შაბიამნის საამქროს გაფართოება, რომლის სამუშაოები გეგმის მიხედვით 1959 წლის ბოლოს უნდა დამთავრდეს. ამ სამუშაოს დაჩქარება საშუალებას მოგვცემს ორჯერ გავადიდოთ შაბიამნის გამოშვება.

პარტიულ კრებაზე ითქვა, რომ აუცილებელია დაჩქარებით აშენდეს მაღალპროცენტიანი ლიტოპონის საამქრო. ამ საკითხის გადაწყვეტა ხელს შეუწყობს სამშენებლო ემულსიური საღებავების წარმოების ათვისებას.

კომუნისტებმა გამოთქვეს აზრი ლიტოპონის, ბარიუმის და საქვაბე საამქროების წარმადობის გადიდების შესახებ. ყველა ამ წინადადების განსახორციელებლად პარტიულმა კრებამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება, რომლის შესასრულებლად ამჟამად საწარმოში დიდი მუშაობაა გაჩაღებული.

წლის პირველ ნახევარში ჩვენთან ნელი ტემპით მიმდინარეობდა საბინაო მშენებლობა. პარტიულმა ბიურომ განიხილა ეს საკითხი და დასახა ღონისძიებანი საბინაო მშენებლობის დაჩქარებისათვის. ამის შედეგად მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ საბინაო მშენებლობის ტემპი ჯერ კიდევ დაბალია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილება საფუძვლად უდევს პარტიული ორგანიზაციის მთელ სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას. პრესაში პლენუმის მასალების გამოქვეყნებისთანავე მოვიწვიეთ სემინარი, რომელსაც 36 აგიტატორი დაესწრო. სემინარის მონაწილეებს მიეცათ რჩევა, თუ როგორ აწარმოონ მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტება მშრომელებში. მეორე დღესვე აგიტატორებმა მოაწყეს საინტერესო თათბირები, რომლებიც მიეძღვნა ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების საკითხებს. საუბრებთან ერთად ისინი უნარიანად იყენებენ თვალსაჩინოების საშუალებებს — პლაკატებს, დიაგრამებს, აგრეთვე ძირეულ პრესას.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა გადაჭრით გააუმჯობესონ ქიმიური ცოდნის პროპაგანდა მასებში. ამ მხრივ ზოგი რამ უკვე გაკეთებულია. თვეში ერთხელ ვატარებთ „ინჟინერ-ტექნიკოსის დღეს", სადაც მოხსენებებით ქიმიის მეცნიერების მიღწევებზე, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებისა და ახალი ტექნიკის წარმოებაში დანერგვის საკითხებზე გამოდიან ქარხნის სპეციალისტები — ქიმიკოსები, ეკონომისტები, მშენებლები. ჩვენმა ლექტორ-მომხსენებლებმა, მათ შორის ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსმა ვ. მუმლაძემ, ინჟინერმა ა. ბოსნიაკოვმა, თუთიის საამქროს უფროსმა გ. ანასტასიადიმ, ინჟინერ-ტექნოლოგმა ნ. გელაშვილმა და სხვებმა უკვე რამდენიმე ლექცია წაიკითხეს ქიმიის მეცნიერების საკითხებზე. მაგრამ ეს სრულიადაც არ არის საკმარისი.

პარტბიურო მომავალში კიდევ უფრო ქმედითს ღონისძიებებს განახორციელებს მასებში ქიმიის მეცნიერების ფართო პროპაგანდისათვის. კერძოდ, წელს გათვალისწინებული გვაქვს ჩავატაროთ სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებთან ერთად.

ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის პარტიული ორგანიზაცია ყოველი ღონისძიებით გააძლიერებს მუშაობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, 1958 წლის სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

**შ. სანიკიძე,**
ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის პარტბიუროს მდივანი.



სამტრედიის საკონსერვო კომბინატი შეუდგა ახალი მოსავლის ხილის გადამუშავებას. წელს კომბინატი გამოუშვებს 600 ათასი ქილით მეტ კონსერვს, ვიდრე შარშან. სურათზე: საკომპოტო ხაზის კონვეიერი, მუშაობას აწარმოებს მარო კალაძის ბრიგადა, რომელიც ყოველდღიურ ნორმას 200-250 პროცენტით ასრულებს.

ფოტო პ. ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა).

## თუთის ხის სანერგე — გამოფენის მონაწილე

თუთის ხის ახალი უხვმოსავლიანი ჯიშები „საქართველო" და „ქუთათური", რომლებიც უკანასკნელ ხანს ჩვენს რესპუბლიკაში იქნა გამოყვანილი, ახლა ფართო გავრცელებას პოულობენ კოლმეურნეობებში. ცხაკაიას რაიონის სოფელ ძველი სენაკის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თუთის ხის სანერგე თავისი მიღწევებით თვალსაჩინოა საქართველოში.

სანერგეს 16 ჰექტარი უჭირავს. აქ გაშლილია ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობა.

სანერგის მთელი კოლექტივი შესანიშნავ ა დ არის დაუფლებული თესლნერგისა და ნამყენის გამოყვანის ხელოვნე ბ ა ს. მაგალითად, შარშან აქ გეგმით უნდა გამოეყვანათ 240 ათასი ძირი თესლნერგი, ამ გეგმას ორჯერ და უფრო მეტად გადაამეტეს, გამოიყვანეს ნახევარი მილიონი თესლნერგი, ნამყენის გახარების პროცენტი კი 98-მდე აიყვანეს. მიღწეული მაჩვენებლებისათვის სანერგე წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა. გამოფენის მონაწილენი არიან სანერგის გამგე და მუშაკები.

ეს წარმატება განაპირობა იმან, რომ სანერგის გამგე ლ. ხუნწარია, მოწინავე მეურნეები შ. პირტახია და ტ. ესებუა გულმოდგინედ მუშაობენ თუთის ხის ახალი უხვმოსავლიანი ჯიშების ფართოდ გავრცელებისათვის.

კოლმეურნეობა თესლნერგის გარკვეულ რაოდენობას თავისი საჭიროებისათვის იყენებს, დიდ ნაწილს კი ყიდის. სანერგეებში გამოყვანილი ნერგი ახლა დასავლეთ საქართველოს რომელ რაიონში არ ხარობს. მიმდინარე წლის გაზაფხულზე ძველი სენაკიდან „საქართველოს" ჯიშის თუთის ხის დიდძალი ნერგი გაიგზავნა საჩხერის რაიონში. ძველსენაკელებმა საჩხერელ მეგობრებს პრაქტიკულადაც უჩვენეს, თუ როგორ უნდა დარგონ და მოუარონ მას, რა გზით შეიძლება შემდგომში თუთის ხის ფოთლის უხვი მოსავლის მიღება და სხვ. მათვე დიდძალი თუთის ხის ნერგი მისცეს აგრეთვე ძველი სამტრედიის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობას, რომელთანაც სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული.

სანერგის კოლექტივი იბრძვის, რათა წელს გამოიყვანოს 800 ათასი ძირი თესლნერგი. მარტო სანერგე კოლმეურნეობას მისცემს ნახევარ მილიონ მანეთ შემოსავალს, შარშან კი მან საკოლმეურნეო სალაროს 300 ათასი მანეთი შემატა.

ძველსენაკელთა მტკიცე სურვილია, ისე იმუშაონ, რომ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის უცვლელი მონაწილე გახდნენ.

**გ. დავითაია.**
ცხაკაიას რაიონი.

# მკაცრად დავსაჯოთ საკოლმეურნეო წესდების დამრღვევნი

1952 წლის ივლისში ქობულეთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის დადგენილებით ქობულეთის რაიონის ახალსოფლის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე მცხოვრებ აგრონომ ი. ცინცაბაძეს საკარმიდამო ნაკვეთიდან ჩამოეჭრა 500 კვადრატული მეტრი და გადაეცა ამავე რაიონის სოფელ ლეღვას მცხოვრებ რ. ხაბაზს, რომელიც მხოლოდ იმავე წლის ნოემბერში მიიღეს კოლმეურნეობის წევრად. მალე რ. ხაბაზმა საკარმიდამო ნაკვეთის შემდგომი გაფართოება მოისურვა, თუმცა კოლმეურნეობაში მუშაობა მაინცდამაინც არ იზიდავდა. კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა დახმარებით ი. ცინცაბაძის მამის იქვე მდებარე ნაკვეთიდან 600 კვადრატული მეტრი მიწა შეისყიდა. გარდა ამისა, კოლმეურნეობამ მას 226 კვადრატული მეტრი ნაკვეთი კიდევ მიუზომა.

გათამამებულმა რ. ხაბაზმა გადაწყვიტა გაეყიდა ქალაქის საბჭოს აღმასკომის უკანონო დადგენილებით მიღებული 500 კვადრატული მეტრი მიწა. ამ მიზნით აღნიშნულ ნაკვეთზე აგებულ დროებითს სახლში ჩაისახლა და ჩაწერა მახარაძის რაიონის მცხოვრები ნ. ცეცხლაძე, ხოლო მეორე ნაკვეთზე ორსართულიანი სახლის მშენებლობა გააჩაღა. ის-იყო ნაკვეთის „გასხვისება" სანოტარო კანტორაში უნდა გაეფორმებინა, როცა მიწის ყოფილმა მფლობელმა აგრონომმა ი. ცინცაბაძემ საჩივარი შეიტანა და მიაღწია გაყიდვის ნოტარიალურად გაფორმების შეჩერებას.

მას შემდეგ გავიდა წლები. ახალმიღებულ ნაკვეთზე რ. ხაბაზმა უზარმაზარი ორსართულიანი სახლი [illegible] აგებულ დროებითს სახლს [illegible] ვერ ელეოდა. ყოველი ღონისძიებით აჭიანურებდა ახალ სახლში გადასვლას. საგულისხმოა, რომ ამ საქმეში მას რატომღაც თავგამოდებით უწყობდა ხელს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. აბრამიშვილი.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვა „გასხვისების" საფარით მეტად გახშირდა ქობულეთის რაიონში, და განსაკუთრებით ახალსოფელში. ამას მოწმობს ამ საკითხზე პარტიის ქობულეთის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მიერ არაერთგზის მიღებული გადაწყვეტილებანი. ჯერ კიდევ 1955 წელს რაიაღმასკომმა მსგავსი დარღვევებისათვის ს. აბრამიშვილს ადმინისტრაციული სასჯელი დაადო. ამავე საკითხთან დაკავშირებით ს. აბრამიშვილი პარტორგანიზაციის მდივან ვ. ჯაფარიძესთან ერთად მკაცრად დასაჯა პარტიის რაიკომმაც, მაგრამ მან ესეც არაფრად არ ჩააგდო.

უნდა ითქვას, რომ პარტიის რაიკომი და რაიაღმასკომი ადვილად ურიგდებიან მსგავს დარღვევებს, არ იღებენ ქმედითს ზომებს მათი აღმოფხვრისათვის. ამას ზოგიერთი ლმობიერი გადაწყვეტილების გამოტანაც მოწმობს. განა საკვირველი არ არის, რომ ქობულეთის რაიკომი და რაიაღმასკომი, რომლებმაც იციან მიწათსარგებლობის წესებისა და საკოლმეურნეო წესდების უხეში დარღვევის ბევრი ფაქტი, ბოლომდე არ სწვდებიან მათ და არ ასწორებენ, დამსახურებულად არ სჯიან ამ საქმეში დამნაშავე პირებს.

**დ. პაიჭაძე,**
**ი. ნოღაიდელი.**



აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა წელს უნდა დაამზადოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 1.880 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

სურათზე: ჩაის კრეფა აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პირველ აგროგანყოფილებაში.

ფოტო ნ. ჯომიდავასი (საქდესის ფოტოქრონიკა).

## საინტერესო ლექციები

ტყიბული. (საკ. კორ.). პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების რაიონული განყოფილება, რომელიც 80-მდე წევრს აერთიანებს, ფართო ლექციურ პროპაგანდას ეწევა მასებში. აქ ლექციების წასაკითხავად ხშირად იწვევენ გამოჩენილ მეცნიერებს, მწერლებს, ხელოვნებისა და სპორტის მუშაკებს.

ამას წინათ აქ გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ე. ხარაძის ლექცია თემაზე „საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრები", რომელიც დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი. თანამედროვე რევიზიონიზმის რეაქციული არსის შესახებ ლექცია წაიკითხა საზოგადოების წევრმა, დოცენტმა ი. მირცხულავამ.

მშრომელთა შორის ნაყოფიერ ლექციურ მუშაობას ეწევიან რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორები, ინჟინრები, მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები. მაგალითად, ადგილობრივი ცხოვრებიდან საინტერესოდ კითხულობს ლექციებს საზოგადოების წევრი, ნოვატორი მეშახტე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ივ. ორჯონიკიძე. ამას წინათ მან წაიკითხა ლექცია თემაზე „შრომის ორგანიზაცია კომპლექსურ ბრიგადაში".

მიმდინარე წელს საზოგადოების რაიონული განყოფილების წევრებმა სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე 270 ლექცია წაიკითხეს.

# უკრაინის აყვავებისათვის ბრძოლის 40 წელი

დღეს აღინიშნება 40 წლისთავი უკრაინის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველი ყრილობისა, რომელზეც შეიქმნა უკრაინის კომუნისტური პარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი.

უკრაინის კომუნისტურმა პარტიამ მთელ ჩვენს პარტიასთან ერთად ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ბრძოლისა და გამარჯვებათა ძნელი და სახელოვანი გზა განვლო. უკრაინის ბოლშევიკური ორგანიზაციები აღმოცენდნენ მარქსისტული წრეებიდან და პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებიდან, მათში შევიდა ყოველივე საუკეთესო, რაც კი იყო ისეთი ქალაქების მასობრივ მუშათა მოძრაობაში, როგორიც იყო კიევი, ეკატერინოსლავი, ხარკოვი, ლუგანსკი, ოდესა, ნიკოლაევი და სხვ., და გაერთიანდა უკრაინის კომუნისტურ პარტიად. ეს გაერთიანება ისტორიულად მომზადებული იყო ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მსვლელობაში, სამი რევოლუციის ცეცხლში. უკრაინის კომუნისტური პარტია სათავეში ჩაუდგა უკრაინელი ხალხის ბრძოლას თავისი სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სოციალიზმის აშენებისათვის.

საბჭოთა უკრაინის აკვანი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა დაარწია. მის საქმეს განაგრძობდა და განაგრძობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტი. და უკრაინის თვითეულ კომუნისტს პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი ერთგულება, პარტიის გენე-

**ვ. შჩერბიცკი,**
უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

რალური ხაზის განუხრელად განხორციელებისათვის, მისი რიგების ერთიანობის განმტკიცებისათვის ზრუნვა მიაჩნია თავის წმიდა მოვალეობად მთელი კომუნისტური პარტიის წინაშე.

უკრაინის კომუნისტური პარტიის შექმნის მომენტში მის ადგილობრივ ორგანიზაციებში 35 ათასზე ცოტა მეტი წევრი ირიცხებოდა.

ამჟამად უკრაინის კომუნისტური პარტიის რიგებში მილიონზე მეტი წევრია. მათ, მრავალმილიონიანი უკრაინელი ხალხის ნამდვილ წინამძღოლებს, ეკუთვნით მთავარი დამსახურება იმაში, რომ, მიდიოდნენ რა მტკიცედ ლენინური კურსით და ინარჩუნებდნენ ურყევ რწმენას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი, უკრაინის მშრომელებმა შესანიშნავ გამარჯვებებს მიაღწიეს თავიანთი რესპუბლიკის ინდუსტრიულ განვითარებაში, სოციალიზმის საფუძველზე გარდაქმნეს სოფლის მეურნეობა, თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

ამჟამად უკრაინა ეკონომიური მნიშვნელობის მიხედვით რსფს რესპუბლიკის შემდეგ მეორე საბჭოთა ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკაა, რომელსაც აქვს მძლავრი მრეწველობა და მდიდარი, მრავალმხრივი სოფლის მეურნეობა. მარტო სამრეწველო პროდუქციის მატებამ 1957 წელს ერთიორად გადააჭარბა უკრაინის რევოლუციამდელი წარმოების მთელ მოცულობას. შარშან, როცა დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავი და უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-40 წლისთავი აღინიშნებოდა, იგი ადნობდა იმდენსავე თუჯს, რამდენსაც საფრანგეთი და ბელგია ერთად, ხოლო ფოლადს უფრო მეტს, ვიდრე ბელგია, ავსტრია, იტალია, შვეცია ერთად.

რევოლუციამდელ წლებში უკრაინა, ისევე როგორც მთელი ჩვენი სამშობლო, დიდად ჩამორჩებოდა უაღრესად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის ძირითადი სახეების წარმოების მხრივ. ამჟამად შეგვიძლია სიამაყით ვთქვათ, რომ ამ უმნიშვნელოვანეს ეკონომიურ მაჩვენებელში უპირატესობა სულ უფრო მტკიცედ გადმოდის ჩვენს მხარეზე. უკვე 1956 წელს ჩვენს რესპუბლიკაში ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა თუჯი 1,6-ჯერ მეტი, ხოლო ფოლადი და ნავლინი — 1,1-ჯერ მეტი, ვიდრე ინგლისში. საფრანგეთთან შედარებით ჩვენში ერთ სულ მოსახლეზე მოდის 2,6-ჯერ მეტი ქვანახშირი, 1,6-ჯერ მეტი თუჯი და 1,5-ჯერ მეტი ფოლადი. ერთ სულ მოსახლეზე ქვანახშირის ამოღების დონის მხრივ ჩვენმა რესპუბლიკამ ამერიკის შეერთებულ შტატებსაც გაუსწრო. ეს წარმატებები მიღწეულია ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელების ყოველმხრივი დახმარების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო მთავრობის ზრუნვის მეოხებით. ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, უკრაინის მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რ ა ზ მ ა ვ ე ნ მთელ რეზერვებს სახალხო მეურნეობის განუხრელი აღმავლობისათვის, სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის შესრულებისათვის.

ყოველი ციფრი, რომელიც მოგვითხრობს რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარების წარმატებებზე, ასახავს პარტიის უდიდეს ორგანიზატორულ მუშაობას.

დონბასში და უკრაინის ქვანახშირის სხვა რაიონებში პარტიის ორგანიზატორული მუშაობის მკაფიო მაგალითი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა ინახულა შახტები, მეშახტეებთან, სამეურნეო და პარტიულ მუშაკებთან ერთად ღრმად შეისწავლა საქმის ვითარება რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობაში. პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელება აღინიშნა ისეთი სახელოვანი საგმირო საქმით, როგორიც არის მარტო ერთ წელიწადში 37 კომკავშირული შახტის აგება დონბასში. ამ საგმირო საქმით სამართლიანად შეუძლია იამაყოს მთელ უკრაინის კომუნისტურ პარტიას, რომელმაც ახალგაზრდობა აღზარდა ლენინის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების, სამშობლოს სასახელოდ ყოველი საგმირო საქმისათვის მზადყოფნის სულისკვეთებით.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებმა ქვანახშირის მრეწველობის განვითარების შესახებ გამოიწვია ისეთი გამოვლინება შემოქმედებითი ინიციატივისა, რომელმაც დასაბამი მისცა სოციალისტური შეჯიბრების ახალ ეტაპს, როგორიც იყო კრასნოდონელი კომუნისტის მნგრეველ ნიკოლოზ მამაის თაოსნობა. იგი დავალების გადამეტებით ყოველ ცვლაში ერთი ტონა ქვანახშირის მოპოვებისათვის შეჯიბრების ინიციატორი გახდა. ერთი შეხედვით მცირედი ვალდებულება სინამდვილეში მოასწავებდა სავსებით ახალ დამოკიდებულებას სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისადმი, შეჰქონდა მასში კონკრეტულობა, პირველ პლანზე აყენებდა შეჯიბრების თვითეულ მონაწილეს. ეს თაოსნობა, რომელსაც მხარი დაუჭირეს ლუგანსკის ეკონომიური რაიონის, ხოლო შემდეგ აგრეთვე მთელი რესპუბლიკის კომუნისტებმა, მასობრივ მოძრაობად გადაიზარდა, დიდი როლი შეასრულა იმაში, რომ დონბასი და რესპუბლიკის მთელი ქვანახშირის მრეწველობა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ანაღდებენ გეგმას.

უკრაინის კომუნისტური პარტია მთელ უკრაინელ ხალხთან ერთად, აღნიშნავს რა უკრაინის კპ პირველი ყრილობის მე-40 წლისთავს, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებისა და კულტურის ყველა უბანზე უმნიშვნელოვანეს ა მ ო ც ა ნ ე ბ ს წყვეტს. ამ ამოცანების მასშტაბებზე შეიძლება ვიმსჯელოთ, თუ გავიხსენებთ, რომ მარტო წელს რესპუბლიკაში შენდება ხუთი ბრძმედი იმ შვიდი ბრძმედიდან, რომლებსაც საბჭოთა კავშირში აშენებენ. ეს მშენებლობანი, ისევე როგორც შახტები, შარშან კომკავშირულ მშენებლობებად გამოცხადდა.

უკრაინის მშრომელებმა საბრძოლო პროგრამად მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილება ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების შესახებ. რესპუბლიკის ნედლეულის უმდიდრესი რესურსები შესაძლებლობას იძლევა უკვე უახლოეს წლებში სულ მცირე 80-ჯერ გავადიდოთ უკრაინაში პლასტიკური მასებისა და სინთეზური ფისების წარმოება, ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოსი — ათჯერ და უფრო მეტად. ეს შესაძლებლობას მოგვცემს 2-2,5-ჯერ გავადიდოთ გამოშვება ისეთი ქსოვილებისა, რომლებშიც გამოყენებული იქნება ხელოვნური და სინთეზური მასალები, და ამ ქსოვილების ნაწარმისა.

მძიმე ინდუსტრიის პირველ რიგში ზრდისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ბაზაზე ფართო გაქანება მიიღო მრეწველობის ყველა იმ დარგმა, რომელიც სახალხო მოხმარების საქონელს აწარმოებს. მსუბუქმა მრეწველობამ შარშან შვიდჯერ მეტი პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე 1913 წელს.

შესანიშნავი მიღწევები, რომლებიც უკრაინის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვეს, ჩვენი რესპუბლიკის თვითეულ მშრომელს უნერგავს იმის ურყევ რწმენას, რომ ახალი ამოცანებიც წარმატებით იქნება შესრულებული.

უკრაინის სს რესპუბლიკაში შექმნილი მძლავრი ინდუსტრია სოციალისტურ საწყისებზე სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საფუძველი გახდა. ამჟამად რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აღჭურვილი არიან უახლესი მანქანებითა და სხვა ტექნიკით, ამასთან მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა წლითიწლობით მტკიცდება. ახორციელებს რა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი მძლავრი განვითარების პროგრამას, რომელიც პარტიამ შეიმუშავა, უკრაინის კომუნისტური პარტია რაზმავს სოფლის მშრომელებს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის საბრძოლველად, იმ საყოველთაო-სახალხო ამოცანის გადასაწყვეტად, რომ უახლოეს წლებში გადავაჭარბოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ.

უკრაინის კომუნისტურმა პარტიამ ბევრი რამ გააკეთა უკრაინელი ხალხის ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებისათვის. რესპუბლიკაში ფართოდ არის განვითარებული სკოლების, საშუალო, სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების ქსელი. ჩვენი მეცნიერები წარმატებით ამუშავებენ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს საზოგადოებრივ, ტექნიკურ მეცნიერებათა და ბუნებათმეცნიერების სხვადასხვა დარგში.

უკრაინის სს რესპუბლიკის მიერ მიღწეული წარმატებები მთელ საბჭოთა ხალხს ახარებს. ჩვენს წინაშეა დიდი პერსპექტივები და ახალი გრანდიოზული ამოცანები. რესპუბლიკის მშრომელებს ძალა შესწევთ გადაჭრან ეს ამოცანები. ამაში გვარწმუნებს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში პარტიის მიერ აღზრდილი სოციალისტური შრომის გმირებისა და მილიონობით მათი მიმდევარის სასახელო საქმეები. ამაში გვარწმუნებს წარმატებები უკრაინის ათი მოწინავე ოლქისა, რომლებიც სოფლის მეურნეობის განვითარებაში მაღალი მაჩვენებლებისათვის დაჯილდოებული არიან ლენინის ორდენით. ამაში გვარწმუნებს უკრაინის კომუნისტური პარტიის მთელი ისტორია, უკრაინელი ხალხის მასობრივი პატრიოტიზმი, თავდადებული შრომა და გმირობა. საბჭოთა უკრაინის ახალ გამარჯვებათა საწინდარია მისი ხალხის ურღვევი მეგობრობა ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა მოძმე ხალხთან და მათი ურთიერთდახმარება.

აღნიშნავს რა უკრაინის კომუნისტური პარტიის მე-40 წლისთავს, უკრაინელი ხალხი გამსჭვალულია სიყვარულისა და მადლიერების გრძნობებით საბჭოთა კავშირის დიდი კომუნისტური პარტიისადმი — საბჭოთა საზოგადოების აღმაფრთოვანებელი და წამყვანი ძალისადმი, კიდევ უფრო მჭიდროდ რაზმავს თავის რიგებს სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ამრავლებს თავის წვლილს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიად საქმეში.

# მშრომელთა წერილები რედაქციას

★ ★ ★

## ნუთუ არ შეიძლება მოგვარდეს?

კვების მრეწველობის ყველა ქარხანა და საცხობი ხმარობს მშრალ საფუარს, რომელიც საქართველოში როსტოვიდან შემოაქვთ. არის შემთხვევები, როცა საფუარის დაგვიანებით მიღების გამო საცხობებს უფუჭდებათ პროდუქტები. ნუთუ დიდ სიძნელეს წარმოადგენს აშენდეს თბილისში პატარა საამქრო, რომელიც კვების მრეწველობის საწარმოებს საფუარით უზრუნველყოფს?

**გ. ხაჟალია,**
თბილისის მარცხენა ნაპირის კვებვაჭრობის № 71 მაღაზიის დირექტორი.

## „საქმეს არ გვიკეთებენ, უხეშადაც გვეპყრობიან"

„კომუნისტის" 9 აპრილის ნომერში ამ სათაურით დაბეჭდილ წერილში მხილებული იყო ნაკლოვანებანი თბილისის სტალინის რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილებისა და საბინაო სამმართველოს მუშაობაში.

რაისაბჭოს აღმასკომმა იმსჯელა გაზეთის სიგნალის გამო და წერილში მოყვანილი ფაქტები სწორად ცნო. აღმასკომმა მიუთითა და გააფრთხილა კომუნალური მეურნეობის განყოფილების მთავარი ინჟინერი ა. ტონია მშრომელებისადმი უხეში მოპყრობისათვის და საბინაო სამმართველოს უფროსი ლ. კასრაშვილი კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგის განკარგულების შეუსრულებლობისათვის.

მიღებულია ზომები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. კლარა ცეტკინის ქ. № 99 სახლის საერთო საპირფარეშოში გაყვანილია წყალი და დადგმულია ავზები.

## შევუცვალოთ სახელი ზოგიერთ ქუჩას

თბილისის მოსახლეობა და მთელი ქართველი ხალხი ოქტომბერში დიდი ზეიმით აღნიშნავს ჩვენი საყვარელი დედაქალაქის 1500 წლისთავს. ამ ისტორიულ თარიღთან დაკავშირებით ფართო მზადებაა გაჩაღებული. ყველა მშრომელს სურს თავისი წვლილი შეიტანოს ქალაქის კეთილმოწყობისა და გამშვენიერების საქმეში.

ცნობილია, რომ თბილისმა განსაკუთრებით იცვალა სახე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. აშენდა მრავალსართულიანი სახლები, გაფართოვდა ქუჩები, გაშენდა პარკები და სხვ. მაგრამ ჯერ კიდევ გულს გვაკლია, რომ დღემდე შემორჩენილია ქუჩების ძველი, შეუფერებელი სახელწოდებები. დედაქალაქში კვლავ შეხვდებით ქუჩების ასეთ სახელებს: ბამბის რიგი, ბნელი რიგი, ღვინის ჩიხი, ტიკის შესახვევი, ტყავის ჩიხი და სხვ.

ამასთან დაკავშირებით კარგი იქნება, თუ გამოიყოფა კომისია, აღირიცხება ასეთი ქუჩები, მათ შევუცვლით ძველ სახელწოდებას და სამაგიეროდ ვუწოდებთ იმ მწერლების, მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეების თუ ისტორიული გმირების სახელებს, რომლებსაც გარკვეული წვლილი მიუძღვით საზოგადოების წინაშე. საჭიროდ მიგვაჩნია ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს თბილისის დამაარსებლის ვახტანგ გორგასალის სახელი.

**ვ. გოგიბერიძე,**
თბილისის 62-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი.

## ფშავში უნდა დაიდგას ვაჟა-ფშაველას ძეგლი

ფშავ-ხევსურეთის გზაზე, არაგვის მარჯვენა ნაპირას სოფელ ჩარგალის მახლობლად ლამაზი შევაკებაა, რომლის ძირზე კლდის ნაპრალიდან გადმოჩუხჩუხებს სამკურნალო თვისებების მქონე მჟავე წყალი. მთიელმა ხალხმა მას „ვაჟას წყალი" შეარქვა. ვაჟას ძალიან უყვარდა ეს ადგილები, აქ მშობლიურ სოფელ ჩარგალში ხნავდა, თესავდა, თევზაობდა, ნადირობდა, ქმნიდა თავის შესანიშნავ ნაწარმოებებს. „ვაჟას წყალი" ღირსია იმისა, რომ კეთილმოწყობილი იყოს, ხოლო სოფელ ჩარგალში უნდა დაიდგას ვაჟა-ფშაველას ძეგლი. ეს საშვილიშვილო საქმე საჭიროა დროულად მოაგვარონ საქართველოს მწერალთა კავშირმა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ.

**ივანე ნაჭეური,**
სოფლკორი.

# გავაუმჯობესოთ ძირეული პრესისადმი ხელმძღვანელობა

**ა. დავითაშვილი,**
საქართველოს კპ გურჯაანის რაიკომის მდივანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების გადაჭრისათვის ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ აგიტაციას. კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკით შემოწმებული ეს უდავო ჭეშმარიტება კარგად აქვს შეგნებული გურჯაანის რაიონის პარტიულ და სამეურნეო აქტივს. ამ მიმართულებით ყურადღების გაძლიერებამ თავისი დადებითი შედეგი მოგვცა. ის ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებში გურჯაანის რაიონის მშრომელებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს მეცხოველეობაში, მარცვლეულის წარმოებასა და მევენახეობაში, ძირეული პრესის მუშაობის გაუმჯობესებითაც უნდა აიხსნას.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ზრუნვის შედეგად, რაიონში ბევრგან კარგად გაფორმებული და შინაარსიანი კედლის გაზეთი გამოდის. მაგალითად, მისაბაძია სოფელ შრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კედლის გაზეთის „კომუნიზმის გზით" მუშაობა. ამ კედლის გაზეთს შემოკრებილი ჰყავს კოლმეურნეთა ფართო აქტივი და კარგადაც ასახავს საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებას. კედლის გაზეთი მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

კარგი კედლის გაზეთები გამოდის აგრეთვე სოფელ კალაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, მუკუზნის საბჭოთა მეურნეობაში და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფელ ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის და კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" მრავალტირაჟიანი გაზეთის „გამარჯვების" კარგი მუშაობა.

გაზეთი დაარსების დღიდანვე აქტიურად იბრძვის სოფლის მეურნეობის დარგში პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის, მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებისათვის, მოურიდებლად აკრიტიკებს ნაკლოვანებებს. გაზეთმა ძირითადად ყურადღება გაამახვილა ველისციხის კოლმეურნეობებში არსებულ ყველაზე სუსტ რგოლზე — შრომის დისციპლინის მდგომარეობაზე და სასურველ შედეგებსაც მიაღწია. გაზეთის თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდება კრიტიკული წერილები კარიკატურით, სადაც მხილებული არიან საკოლმეურნეო შრომისათვის თავისამრიდებლები, ზარმაცი და უქნარა კოლმეურნეები. გაზეთის ყოველ ასეთ გამოსვლას დადებითი შედეგი მოაქვს.

რაიონის ძირეული პრესის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლია. მრავალი კედლის გაზეთი უფერულად კეთდება. გურჯაანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ხშირია კედლის გაზეთის დაგვიანებით გამოსვლა, მისი ნომრები მრავალფეროვანი არ არის. ამასთან კედლის გაზეთი შესაფერ ადგილას არ არის გამოკრული. ასევე ითქმის შრომის, შაშიანის და ზოგიერთ სხვა სასოფლო საბჭოს კედლის გაზეთებზე. მათში შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ ქვეყნდება წერილები დეპუტატების საქმიანობაზე, მუდმივი კომისიების მუშაობაზე, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების შესრულების მიმდინარეობაზე.

საჭიროა სოფლის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი დახმარება აღმოუჩინონ კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს.

ახლა ჩვენს რაიონში, ისე როგორც მთელ რესპუბლიკაში, გაჩაღებულია ისეთი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიმდინარე წლის მოსავლისათვის. სოფლის თითქმის ყველა მშრომელი გასულია მინდვრად და ამუშავებს სიმინდს, ვენახს, საკვებ ჭარხალსა თუ სხვა კულტურებს; დამთავრდა ქერის აღება, გაჩაღებულია მუშაობა პურის ყანებში. ასეთ პერიოდში პირველადი პარტიული ორგანიზაციები და მათი აგიტკოლექტივები კედლის გაზეთების გარდა მიმართავენ ძირეული პრესის ისეთ ფორმას, როგორიც არის საველე ფურცელი. რაიონის უმრავლეს კოლმეურნეობებში გამოდის საველე ფურცლები. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან ასე როდია. ვაზისუბნისა და ველისციხის კოლმეურნეობების პარტორგანიზაციები იმით ინუგეშებენ თავს, რომ მრავალტირაჟიანი გაზეთები აქვთ, და საველე ფურცლების გამოშვებისათვის ნაკლებად ზრუნავენ. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საქმიან, შინაარსიან საველე ფურცელს ოპერატიული დახმარების გაწევა შეუძლია ბრიგადისა თუ რგოლისათვის.

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული პოლიტიკით აღფრთოვანებული გურჯაანის რაიონის მშრომელები აქტიურად შრომობენ სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად, მეექვსე ხუთწლედის მესამე წელს უფრო მეტი წარმატების მოსაპოვებლად. ცხადია, რომ ამ ბრძოლაში მათ ქმედითად დაეხმარება ძირეული პრესა.



თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტში ყოველდღიურად შემოდის ათობით განცხადება, სადაც სტუდენტები სურვილს გამოთქვამენ წავიდნენ ყამირ მიწებზე. **სურათზე:** სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა ერთი ჯგუფი, რომელმაც სურვილი გამოთქვა წავიდეს ყამირ მიწებზე მოსავლის ასაღებად. (მარცხნიდან მარჯვნივ): ო. ვახტანგიშვილი, ჯ. გელოვანი, ა. გოგავა, ი. ბერაძე, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი გ. აზაურაშვილი, პ. მერაბიშვილი, შ. რუსაძე, ვ. მარგოშვილი და თ. ალფერაძე.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

# საქართველოს კურორტებზე



## კ ვ ე რ ე თ ი

საჩხერის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოედინება გიჟმაჟი და ანკარა მდინარე ჩიხურა, რომელსაც დიდებული მგოსანი აკაკი საკუთარ ემბაზსა და პირველ სარკეს უწოდებდა. ჩიხურის ხეობაში, მთების შუაგულში მდებარეობს კურორტი კვერეთი. მან სახელი გაითქვა გოგირდოვანი სამკურნალო წყლითა და მთის სუფთა ჰაერით. აქაური აბაზანები კარგია რევმატიზმითა და ნერვული სისტემით დაავადებულთა სამკურნალოდ.

კვერეთში მეაბანოედ მუშაობს სხვიტორელი ილარიონ ლურსმანაშვილი. ჯერ კიდევ 1911 წელს, 16 წლის ჭაბუკი ილარიონი პირველად მოსულა კვერეთში. იგი რევმატიზმს უჩიოდა. ყმაწვილი მალე გამოჯანსაღდა, მაგრამ იმდენად შეუყვარდა გოგირდოვანი წყაროები, კვერეთის მიდამოები, რომ აქ დარჩა სამუშაოდ.

ილარიონმა გვიამბო: წინათ კვერეთის მიდამოები სხვიტორელ წერეთლებს ეკუთვნოდათ. აქ საქონელს აძოვებდნენ. თურმე პირუტყვი ჩიხურის ანკარა წყალს არ ეკარებოდა და სასმელად გოგირდოვან წყაროებს ეწაფებოდა, რადგან მათში მარილები იყო გახსნილი. მწყემსების ყურადღება ამ წყაროებს მიუპყრია. ადამიანებს შეუსწავლიათ წყაროების თვისებები და სამკურნალოდ გამოუყენებიათ. ბევრ სხვიტორელ მკვიდრს კარგად ახსოვს, რომ აქაური მცხოვრებნი უბრალო ხის გობებში ბანაობდნენ. გლეხებს სახლებიდან მოჰქონდათ ქვაბები და ათბობდნენ წყალს.

ასე იყო წინათ... მაგრამ ახლა კვერეთი ერთ-ერთი კეთილმოწყობილი კურორტია. ჭიათურელმა მშენებლებმა კვერეთს მაღაროელთა კურორტი შეარქვეს. მაგრამ კვერეთის სახელი სწრაფად გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს. აქ ისვენებენ არა მარტო თბილისელი და სოხუმელი, რუსთაველი და ბათუმელი, ჭიათურელი და დაშქესნელი მშრომელები, კვერეთში შეხვდებით მოსკოველსა და ლენინგრადელს, შორეული ხაბაროვსკიდან, კუიბიშევიდან ჩამოსულთ. ისინი ძალიან კმაყოფილნი, საუცხოო შთაბეჭდილებებით ბრუნდებიან უკან და გულითადი მადლობის სტრიქონებს ტოვებენ.

[illegible] ქტორს ამხ. გ. ქრისტესიაშვილის სახელზე ამ დღეებში მოსკოვიდან წერილი მოვიდა. მოსკოვის ელნათურების ქარხნის მუშა ემილია სიდოროვა აწერება: „მარშან თქვენთან ვისვენებდი. ძალიან კმაყოფილი ვარ. არასოდეს არ დამავიწყდება კვერეთში გატარებული დღეები. ეს ჩემს მეგობრებს ნ. ეგოროვას და ტ. ანდრუშევას ვუამბე. გადავწყვიტეთ წელს სამივემ თქვენთან დავისვენოთ. გთხოვთ დაგვეხმაროთ საგზურების შოვნაში". კურორტის დირექციამ დააკმაყოფილა მოსკოველი ქალიშვილების თხოვნა.

კურორტი მომზადებული შეხვდა სეზონს. ბევრი რამ აქ ახლახან დამთავრდა. აშენდა კინოთეატრი 200 კაცისათვის, დამსვენებლებს უკვე უჩვენებენ კინოფილმებს. საუცხოო სანახავია სასადილო-პავილიონი, რომელიც ერთდროულად ორას კაცს ემსახურება. დამსვენებლებისათვის შესანიშნავი ადგილია ამას წინათ მოწყობილი საცურაო აუზი.

დასასრულს უახლოვდება ახალი სააბაზანო განყოფილების მშენებლობა; შენდება აგრეთვე სახალხო საჰაერო-საბაგირო გზა. მისი სიგრძე 250 მეტრი იქნება და კურორტს დააკავშირებს საუცხოო ზეგანთან. ამით უფრო მიმზიდველი გახდება მშრომელთა დასვენება. მალე კვერეთს ველარ იცნობთ.

**პ. ჭიოკაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

* * *

**სურათზე:** კურორტ კვერეთის ხედი. მარცხნივ — დასასვენებელი სახლის მთავარი კორპუსი, მარჯვნივ — სასადილო-პავილიონი.

ფოტო ვ. ხარატიშვილისა.

# ა დ ი გ ე ნ ი ს რ ა ი ო ნ შ ი

## 200 ახალი სახლი

სახელმწიფო კრედიტების დახმარებით ადიგენის რაიონის სოფლებში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს კოლმეურნეთა ინდივიდუალური სახლების მშენებლობა. მარტო წელს ახალ კაპიტალურ სახლებში შევა 200 ოჯახი.

## მოირწყვება 3.000 ჰექტარი მიწა

დამთავრდა თრიალის წყალსაცავისა და სოფელ ბოლაჯაურის მექანიკური წყალსაქაჩის მშენებლობა, რომელიც წყლით უზრუნველყოფს ყარათუბნის, ლელოვნის, სამყურის, უდის, ქვემო ენთელისა და სხვა სოფლების 3.000 ჰექტარზე მეტ საკოლმეურნეო მიწებს. განზრახულია თრიალის წყალსაცავში დიდი რაოდენობით მოშენდეს კალმახი.

## სასკოლო შენობები

მახარაძის რაიონის მშრომელთა ინიციატივას, რომ სოფლად გაიშალოს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა, საქმით გამოეხმაურნენ ადიგენის რაიონის მშრომელები. საკოლმეურნეო სოფლებში ფართოდ გაჩაღდა კლუბების, სკოლების, ხამშობიარო სახლების, აბანოების და სხვათა მშენებლობა. სოფლებში ყარათუბანში, ჩორჩანში, ქიქინეთში, ჰეჰლაში დამთავრდა 4 სასკოლო შენობის აგება. მომავალ სასწავლო წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა აგრეთვე ვარხნის საშუალო სკოლის ორსართულიანი შენობა.

## საცხოვრებელი სახლები

რაიონის ცენტრში მუშა-მოსამსახურეთათვის აშენდა რვაბინიანი ორსართულიანი სახლი. კიდევ რამდენიმე დღე, და რაიონის ცენტრს დაამშვენებს ასეთივე ლამაზი ოთხბინიანი სახლის შენობა.

## სასადილო-პავილიონი სოფელში

რაიკავშირმა სოფელ ხევაშენში ააგო ლამაზად გაფორმებული შენობა, რომელშიც ამ დღეებში გაიხსნა სასადილო-პავილიონი.

## საკოლმეურნეო სოფლების ელექტროფიკაცია

წელს ილიჩის ნათურების შუქი შევიდა ბენარის, ყარათუბნის, ლელოვნის, ვარხნის, უდის, არალის, სამყურის საკოლმეურნეო სოფლების ოჯახებში. ამჟამად კოლმეურნეობებში მუშაობა წარმოებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციისათვის ელექტროენერგიის გამოსაყენებლად.

## პირუტყვის სადგომები

მლაშის, აბასთუმნის, ქვემო ენთელის კოლმეურნეობებში დაამთავრეს მშენებლობა მსხვილფეხა პირუტყვის კაპიტალური ბოსლებისა, რომლებიც დაიტევენ 400 სულ პირუტყვს.

# თბილისის ქუჩა სტალინირში

სტალინირში ვისაც უნდა უთხრათ, ყველა მიგასწავლით თბილისის ქუჩას. ეს სახელწოდება უბრალოდ როდი დაურქმევიათ საოლქო ცენტრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგისტრალისათვის. იგი მართლაც თბილისის ქუჩაა, რესპუბლიკის დედაქალაქის მიერ კეთილმოწყობილი და გალამაზებული.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ერთ მილიონზე მეტი მანეთი დახარჯა ამ ქუჩის მოკირწყვლა - მოასფალტებაზე, ტროტუარების მოწყობაზე, ონკანების დადგმასა და განათებაზე. ლამაზად ჩამწკრივებული ლამპიონები, მარადმწვანე ხეები თბილისელთა საჩუქარია. იგი ქართველი და ოსი ხალხების ძმობის, მეგობრობის და სიყვარულის ნიშანია.

თბილისელმა მეასფალტეებმა, ქვის დამგებლებმა, ელექტრომონტიორებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს ამ ქუჩის კეთილმოწყობაში. სტალინირელი მშრომელები კმაყოფილებით იგონებენ მათ სახელებს, მადლობას უხდიან თბილისის ქალაქის საბჭოს, ქართველ ხალხს მეგობრული და ძმური დახმარებისათვის.

(საქ. კორ).

# კოოპერაციის საერთაშორისო დღე

**ზ. კეცხოველი,**
ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

ყოველი წლის ივლისის პირველ შაბათს ყველა ქვეყნის კოოპერაციული ორგანიზაციები, რომლებიც საერთაშორისო კოოპერაციულ ალიანსში შედიან, აღნიშნავენ კოოპერაციის საერთაშორისო დღეს. წელს ეს დღე ოცდამეოთხმეტეჯერ აღინიშნება.

საბჭოთა კავშირის სამომხმარებლო კოოპერაცია საერთაშორისო კოოპერაციულ დღეს წელს აღნიშნავს პირობებში, როდესაც ჩვენი სახელოვანი სამშობლოს მშრომელები უდიდესი შრომითი ენთუზიაზმით ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

საბჭოთა კავშირში სამომხმარებლო კოოპერაცია დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში. იგი ამჟამად წარმოადგენს უაღრესად დიდ სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომლის საქმიანობა მიმართულია სოფლად ვაჭრობის შემდგომი გაფართოებისა და სახალხო მოხმარების საქონელზე სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილებისაკენ, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება-შესყიდვის მაქსიმალურად გაშლისაკენ. სამომხმარებლო კოოპერაცია აქტიურად მონაწილეობს სოფლად საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

ჩვენს ქვეყანაში კოოპერაციული დღის ჩატარება წელს ემთხვევა მეპაიეთა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკების მობილიზებას კოოპერაციული ორგანიზაციების მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესების, აგრეთვე მომხმარებელთა საზოგადოებებში ახალ წევრთა შეკავშირებისა და კოოპერატივების საქმიანობაში მეპაიეთა აქტიური მონაწილეობის ამაღლებისათვის. საბჭოთა კოოპერატორები დღეს აღფრთოვანებული არიან აგრეთვე იმით, რომ საბჭოთა კავშირის სამომხმარებლო კოოპერაცია მთავრობის მიერ დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. ეს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებს ავალებს გაათკეცებული ენერგიითა და შრომითი ენთუზიაზმით იბრძოლონ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის ახალ მაღალ საფეხურზე აყვანისათვის.

ას წელზე მეტია, რაც თანამედროვე ტიპის პირველი კოოპერატივები აღმოცენდნენ ამის შემდეგ კოოპერაციულმა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო ევროპის, ამერიკის, აფრიკისა და აზიის ყველა ქვეყანაში. ამავე დროს ამ ხნის მანძილზე მოხდა ძირითადი ცვლილებანი საერთაშორისო არენაზე. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად მსოფლიოში შეიქმნა პირველი სოციალისტური სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოცენდნენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად გადაიქცა.

ამ ფაქტორებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს კოოპერაციული მოძრაობის შემდგომ განვითარებაზე.

კოოპერაციული ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა ერთნაირი არ არის სხვადასხვა ქვეყნებში.

თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში კოოპერაცია თავისი სოციალური ბუნებით კაპიტალისტური საწარმოებისაგან დიდად არ განსხვავდება. კაპიტალისტური მონოპოლიების პირობებში კოოპერაციული ორგანიზაციების როლი მეტად შეზღუდულია.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში კი შექმნილია ყველა პირობა კოოპერაციული მოძრაობის მძლავრი განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირში და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში კოოპერაციული მოძრაობის პროგრესს ხელს უწყობს მეგობრული კავშირის განმტკიცება ამ ქვეყნების კოოპერატორთა შორის, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა მათ შორის, რაც დამყარებულია თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კოოპერაციულ მოძრაობას ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში — საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა სამომხმარებლო კოოპერაცია ამჟამად ძლიერი საზოგადოებრივ-სამეურნეო სისტემაა. თავისი ზრდისა და განვითარების ტემპით (საზოგადოებათა რიცხვი, მეპაიეთა რაოდენობა, ბრუნვები) მას ტოლი არა ჰყავს მსოფლიო კოოპერაციულ მოძრაობაში. იგი აერთიანებს 35 მილიონზე მეტ წევრს და აქვს საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელის 315 ათასი ერთეული და 36 ათასი სავაჭრო ბაზა და სასაქონლო საწყობი. კოოპერაცია წარმოადგენს მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის ძირითად დამამზადებელ ორგანიზაციას.

განუხრელად ფართოვდება სამომხმარებლო კოოპერაციის საქონელბრუნვა, რომლის ზრდა 1957 წელს წინა 1956 წელთან შედარებით 28 მილიარდ მანეთს უდრის.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციას ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში. ამჟამად იგი აერთიანებს 650 ათასზე მეტ მეპაიეს, აქვს ფართოდ გაშლილი სავაჭრო-საწარმოო ქსელი და წარმოადგენს რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობისა და კოლმეურნეობების სავაჭრო მომსახურების ძირითად სისტემას.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებმა 1957 წელს სოფლის მოსახლეობას მიჰყიდეს 352 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების საქონელი, ვიდრე 1956 წელს. სავაჭრო საცალო ქსელი 4,6 ათას ერთეულს აღემატება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მიერ მიღებული დადგენილება სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გაუქმების შესახებ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის კიდევ უფრო სწრაფ ზრდას და მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებას, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომ განმტკიცებას. ახალ პირობებში განუსაზღვრელად იზრდება სამომხმარებლო კოოპერაციის როგორც სოფლად მოვაჭრე და დამამზადებელი ორგანიზაციის როლი.

სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციები მოვალენი არიან გადაჭრით გააუმჯობესონ დამზადების საქმე, აღკვეთონ უყაირათობა პროდუქციის დამზადებაში, მის შენახვასა და გასაღებაში, მიაღწიონ ხარჯების მკვეთრ შემცირებას.

სამომხმარებლო კოოპერაციის უპირველესი მოვალეობა იყო და არის რაც შეიძლება სრულად დააკმაყოფილოს კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სოფლის ინტელიგენციის მზარდი მოთხოვნილებანი სახალხო მოხმარების საქონლით, ხოლო კოლმეურნეობები — საწარმოო და სამეურნეო დანიშნულების საქონლით.

სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების საქმიანობის მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურება. გაფართოებულ უნდა იქნას სოფლად საზოგადოებრივი კვების საწარმოები, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის საკერი და შესაკეთებელი სახელოსნოები და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა ობიექტები.

მეპაიეთა აქტივობა და თვითმოქმედება, მათი ქმედითი მონაწილეობა კოოპერატივების საქმიანობასა და მართვის საქმეში აყვანილ უნდა იქნას მაღალ საფეხურზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში საბჭოთა კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა მეხუთე ყრილობისადმი მოცემულია გაშლილი პროგრამა სამომხმარებლო კოოპერაციის შემდგომი მუშაობისათვის. კოოპერაციის მუშაკები ვალდებული არიან განუხრელად იბრძოლონ ამ პროგრამის განხორციელებისათვის, კოოპერაციული ორგანიზაციების მუშაობის მაღალ საფეხურზე აყვანისათვის.

საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის ორგანოების მუშაობაში, თანმიმდევრულად და მედგრად იბრძვიან იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას საერთაშორისო კოოპერაციული ერთიანობის განმტკიცება, გაფართოებულ იქნას ალიანსის რიგები, აღიკვეთოს პოლიტიკა კოოპერაციული ორგანიზაციების დისკრიმინაციისა პოლიტიკური და სხვა მოტივებით. საბჭოთა კოოპერატორები იღებენ ყველა ზომას საერთაშორისო კოოპერაციული ვაჭრობის განვითარების, ყველა ქვეყნის კოოპერაციულ ორგანიზაციებს შორის ურთიერთ დახმარებისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კოოპერატორები, როგორც წინათ, ისე მომავალშიც ყოველივეს გააკეთებენ საერთაშორისო კოოპერაციული მოძრაობისა და ეროვნულ კოოპერაციულ ორგანიზაციებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის, საერთაშორისო კოოპერაციული ვაჭრობის გაფართოებისათვის.

კოოპერაციის საერთაშორისო დღეს ყველა ქვეყნის კეთილი ნების ადამიანები მოუწოდებენ ხალხებს გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობისათვის, კოოპერაციული მოძრაობის ერთიანობისათვის, ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საპარლამენტო ჯგუფის გაერთიანებული სხდომა

პარიზი, 3 ივლისი. (საკდესი). [illegible]

# ფინელ რეაქციონერთა [illegible] ნაყალბევი

ჰელსინკი, 3 ივლისი. (საკდესი). [illegible] აქვს პატიოსნების ყოველგვარი გრძნობა, დასძენდა, თითქოს ფინეთის კომპარტიის ხელმძღვანელები ახლა „ცდილობენ შექმნან ისეთი მდგომარეობა", როდესაც შეეძლებათ მიმართონ „თხოვნით დახმარების შესახებ" საბჭოთა არმიას ფინეთში ხელისუფლების დასაპყრობად.

გაზეთი „ჰელსინგინ სანომატი" არ მოერიდა არც ამ სიყალბის ფანტასტიკურ ხასიათს, არც იმ გარემოებას, რომ მისმა ავტორმა მეორე მსოფლიო ომის დროს თავი გამოიჩინა როგორც ჰიტლერული გერმანიის თავგამოდებულმა მომხრემ სსრ კავშირის წინააღმდეგ ომში. დამახასიათებელია, რომ ტუომინენი მაშინ მუშაობდა ფინეთის საიდუმლო პოლიციაში საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობ- [illegible]

„დაესაბუთებინა" თავისი მოწოდება — არ მისცენ ხმა კომუნისტებს მომავალ არჩევნებში.

გაზეთმა „კანსან უუტისეტმა" გამოაქვეყნა ფინეთის კომპარტიის ხელმძღვანელების ა. აალტონენის, ვ. პესისა და მ. რიუენის წერილი, რომელშიც ისინი ამხილებენ გაზეთ „ჰელსინგინ სანომატის" ნაყალბევის პროვოკაციულ ხასიათს და აღნიშნავენ, რომ იგი არის შეგნებული და მოფიქრებული ცდა ზიანი მიაყენონ ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას. გაზეთი „კანსან უუტისეტი" მოწინავე სტატიაში ტუომინენის ბოდვას ახასიათებს როგორც ფინელ რეაქციონერთა წინასაარჩევნო ფანდს და როგორც საგარეოპოლიტიკურ პროვოკაციას.

# ბელგიის ახალი მთავრობა

ბრიუსელი, 4 ივლისი. (საკდესი). გუშინ ბელგიის დეპუტატთა პალატამ მხოლოდ ორი ხმის უმრავლესობით ნდობა გამოუცხადა ეისკენსის მთავრობას (106 ხმა 104-ის წინააღმდეგ). ეისკენსმა მთავრობა შეადგინა 1 ივნისის არჩევნების შემდეგ და მასში შედიან მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ-ქრისტიანული პარტიის წევრები.

მთავრობაში შედის 15 მინისტრი, მათ შორის: პრემიერ-მინისტრი — გასტონ ეისკენსი, საგარეო საქმეთა მინისტრი — პიერ ვინიი, ფინანსთა მინისტრი — ჟან ვან გუტი, შინაგან საქმეთა მინისტრი — შარლ ეჟე, ეროვნული თავდაცვის მინისტრი — არტურ ჟილსონი.

# მდგომარეობა ლიბანში

ბეირუთი, 3 ივლისი. (საკდესი). ლიბანის ეროვნული თავდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ ლიბანის არმიის ნაწილები 2 ივლისს განაგრძობდნენ ბრძოლას აჯანყებულთა წინააღმდეგ ქალაქ ტრიპოლში და ჩრდილოეთ ლიბანის დასახლებულ პუნქტებში დაატურსა და დეირ ამარში. გარდა ამისა, ჩრდილოეთ ლიბანში ბრძოლები მიმდინარეობდა ტერბოლის მთიან რაიონში, აჯანყებულებთან შეტაკება მოხდა რაშაიას რაიონში (ბეკაას ხეობა). მედგარი ბრძოლები გრძელდებოდა აგრეთვე შუფის მთიან რაიონში. განსაკუთრებით გაფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა დასახლებულ პუნქტებში აინაბსა და ბაისურში. მთავრობის ჯარებმა და „ეროვნულ-სოციალური პარტიის" რაზმებმა გამოიყენეს რეაქტიული ავიაცია, ტანკები და არტილერია და რამდენადმე შეავიწროვეს აჯანყებულები.

გუშინ ბეირუთში შედარებით სიმშვიდე იყო. ზოგიერთ რაიონში სროლა წარმოებდა.

# ბრძოლები ომანში

კაირო, 3 ივლისი. (საკდესი). ომანში გრძელდება საომარი მოქმედება. ომანის წარმომადგენელმა კაიროში გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ ჯებელ ელ-აჰდარის მთიან რაიონში სოფელ ტანუფის ახლოს გაფთრებული შეტაკება მოხდა ომანის ეროვნული წინააღმდეგობის ძალებსა და ინგლისის ჯარებს შორის. ორივე მხარეზე არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

# ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობენ ატომგულის იარაღის გამოცდას

ვაშინგტონი, 3 ივლისი. (საკდესი). ატომის ენერგიის კომისიამ გამოაცხადა, რომ 2 ივლისს ბიკინის ატოლზე მოხდა თერმოატომგულის იარაღის მორიგი აფეთქება.

# თბილისის კინოსტუდიაში

ფართო შემოქმედებითი მუშაობა წარმოებს თბილისის კინოსტუდიაში. პავილიონებში ერთმანეთს ცვლიან სხვადასხვა ეპოქის „შენობები". ყოველდღიურად სტუდიის ალაყაფის კარიდან თბილისის გარეუბნის მიმართულებით მიემგზავრებიან კინოგადამღებთა ჯგუფები. სამონტაჟოებში მონტაჟს უკეთებენ უკვე გადაღებულ კადრებს, დარბაზში სინჯავენ გამოსაშვებად გამზადებულ ფილმებს, აწარმოებენ გახმოვანების სამუშაოებს...

სულ მალე დედაქალაქის ეკრანებზე გამოვა თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის" ახალი მხატვრული სურათი „სხვისი შვილები". ფილმის სცენარის ავტორები არიან რ. ჯაფარიძე და თ. აბულაძე, დამდგმელი რეჟისორი თ. აბულაძე, რეჟისორი ო. ანდრონიკაშვილი, მთავარი ოპერატორი ლ. პაატაშვილი, მხატვრები გ. გიგაური და კ. ხუციშვილი.

ფილმი მაყურებლებს აცნობს უბრალო საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას, მათს ადამიანურ გრძნობებს, დიდ სიყვარულს. ფილმში პირველად გამოდიან მაყურებლის წინაშე მთავარი როლების შემსრულებლები ც. ციციშვილი და ა. ქანდაურიშვილი, აგრეთვე მაყურებლისათვის უკვე კარგად ცნობილი მსახიობი ო. კობერიძე, პატარა „მსახიობები" ნანი ჩიქვინიძე და მიხო ბორაშვილი.

დამთავრების პროცესშია ორი ახალი ფილმის „ფატიმას" და „მამელუკის" გადაღება. კინოსურათი „ფატიმა" შექმნილია კ. ხეთაგუროვის ამავე სახელწოდების პოემის მიხედვით, ხოლო „მამელუკი" — კ. თათარიშვილის (უიარაღო) ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით.

ქუთაისში იმყოფება კინოფილმის „მაიაკოვსკი იწყება ასე" გადამღები ჯგუფი. ფილმი, რომლის სცენარი დაწერეს კ. გოგოძემ და კ. პიპინაშვილმა და რომელსაც იღებს კ. პიპინაშვილი, მაყურებელს გააცნობს დიდი რუსი პოეტის ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლებს. მაიაკოვსკის როლს ასრულებს ვლ. ლანოვოი, როლებში მონაწილეობენ ა. ხორავა, რ. ჭელიძე, ვ. გოძიაშვილი, ტ. მაქსიმოვა, ე. სუდაკოვა, ვ. ნინუა, ე. მაღალაშვილი, ა. ვასაძე, ბ. ზაქარიაძე, ნ. მაღალაშვილი, აგრეთვე ქუთაისის თეატრის მსახიობები.

კინოსტუდიის მუშაკთა ერთმა ჯგუფმა დაიწყო კინოფილმ „ზვიგენის კბილის" გადაღება, რომელიც ეხება ალუირელ მუშათა ცხოვრებას. ამჟამად კინოფილმის გადამღები ჯგუფი ბაქოში იმყოფება.

ამ დღეებში ბოლნისის რაიონში გაემგზავრება კინოფილმის „მაია წყნეთელის" გადამღები ჯგუფი. მაია წყნეთელის როლს ფილმში ასრულებს ლ. აბაშიძე. როგორც ფილმის დამდგმელმა რეჟისორმა რ. ჩხეიძემ განაცხადა, ფილმი მნიშვნელოვნად სცილდება პიესა „მაია წყნეთელს", რომელიც ჩვენს თეატრში იდგმება, შეცვლილია ფინალური სცენა, ფილმში შეყვანილია ბევრი ახალი გმირი, ამბავი უფრო გახალხურებულია.

თანამედროვეობის თემას ეხება მომავალი ფილმი „ორი ოჯახი", რომლის სცენარის ავტორები არიან ა. და ს. სულაკაურები და დ. კანდელაკი. დამდგმელი რეჟისორი დ. კანდელაკი. ამჟამად მიმდინარეობს ფილმში მონაწილე მსახიობების შერჩევა.

თანამედროვეობის თემას ეხება აგრეთვე ფილმი „თეთრი სასტუმრო", რომლის გადაღებაც მალე დაიწყება. ეს იქნება კინოკომედია, რომელიც მაყურებელს გააცნობს ჩვენი რესპუბლიკის კურორტების დამსვენებელთა ცხოვრებას. ფილმისათვის სცენარი დაწერა რ. თაბუკაშვილმა. ფილმს იღებენ ახალგაზრდა რეჟისორები გ. წულაია და ნ. ნენოვა.

საბავშვო მოკლემეტრაჟიან ფილმს „24 საათი მანანას ცხოვრებიდან" იღებენ რეჟისორები ზ. გუდავაძე და შ. მართაშვილი.

წარმოებაში გადაცემულია თანამედროვეობის ყოფის ამსახველი ფილმი „ნინო", რომლის სცენარის ავტორია ვ. ჭანკვეტაძე. ფილმს გადაიღებს რეჟისორი ლ. ესაკია.

გარდა მხატვრული ფილმებისა, კინოსტუდიაში იქმნება მრავალი ახალი დოკუმენტალური და მულტიპლიკაციური ფილმები.

უახლოეს ხანში დედაქალაქის ეკრანებზე გამოვა თბილისის კინოსტუდიის ახალი მულტიპლიკაციური ფილმი „უქნარა", რომელიც შექმნილია სულხან-საბა ორბელიანის „თხა და მელას" მიხედვით.

ლ. ხუბულური.

# კოლმეურნეთა შეხვედრა რადიოს და ტელევიზიის მუშაკებთან

ამ დღეებში ყვარლის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზებულ კალოზე სამასზე მეტმა კოლმეურნემ და მექანიზატორმა მოიყარა თავი. ახალსოფლელებს ეწვივნენ საქართველოს რადიოს და ტელევიზიის მუშაკები, თბილისის თეატრებისა და ფილარმონიის მსახიობები. შეხვედრა გახსნა საქართველოს კპ ყვარლის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ავაზაშვილმა. საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ პ. შამათავამ დამსწრეთ მოუთხრო რადიოგადაცემების ახალი ამოცანების შესახებ.

სტუმრებს მიესალმა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. ახოშვილი. კომკავშირის ორგანიზაციის მდივანმა ლ. ცხაძემ ბევრი საგულისხმო შენიშვნა გააკეთა რადიოგადაცემების მიმართ.

— ზოგჯერ გადაცემები მოსაწყენია, — თქვა მან, — მეტი ადგილი უნდა დაეთმოს ხალხურ და პოპულარულ სიმღერებს, უფრო ხშირად ეწყობოდეს მოწინავეთა გამოცდილების გაზიარება.

ბევრი მეტად მნიშვნელოვანი წინადადება წამოაყენეს ახალსოფლელმა კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა რადიოგადაცემათა გაუმჯობესების მიზნით.

დასასრულ კალოზე გაიმართა დიდი კონცერტი.

თ. გელაშვილი.

# ირაკლი აბაშიძის ლექსები რუსულად

მოსკოვში მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ირაკლი აბაშიძის ლექსების კრებული, რომელშიც შეტანილია პოეტის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი ხამოცამდე ლექსი.

კრებულში შეტანილი ლექსები თარგმნილია ბ. პასტერნაკის, ე. დოლმატოვსკის, ნ. გრებნევის, ა. მეჟიროვის, ბ. სერებრიაკოვის, ე. ანანიაშვილის, ვ. ზვიაგინცევას, ნ. ტიხონოვის, ვ. დერჟავინის, ბ. შუბინის, ა. კუზმიჩევის, მ. მაქსიმოვის, ი. ლევიტანის მიერ.

წიგნის რედაქტორია ვ. ბურიჩი, ტირაჟი 10.000, ფასი 8 მან. 85 კაპ.




# სოფლის ბიბლიოთეკა

ლენტეხი. („კომუნისტის" კორ.). რცხუმელურის სასოფლო საბჭოს ფართო, ორსართულიან შენობაში, რომელიც ამას წინათ გადაეცა საექსპლოატაციოდ, ბიბლიოთეკასაც საკმაო ფართობი დაუთმეს. ნათელ ოთახში კედლების გაყოლებით ჩამწკრივებული თაროები სავსეა წიგნებით. ბიბლიოთეკაში საკმარისად მოიპოვება მხატვრული, პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა. ახლა აქ 2000 წიგნაა. კოლმეურნეები ყოველდღიურად კითხულობენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს.

ბიბლიოთეკას ემსახურება ფ. ლიპარტელიანი, რომელიც განსაკუთრებული მზრუნველობით და პატივისცემით ეპყრობა თვითეულ მკითხველს, გულისხმიერად არჩევს მათთვის საინტერესო ლიტერატურას. მას იცნობენ კოლმეურნეები, დიასახლისები, აგრეთვე მოხუცებიც და ინვალიდებიც, რომლებსაც ბიბლიოთეკაში მისვლის საშუალება არა აქვთ, მაგრამ პირველი მოთხოვნისთანავე ბიბლიოთეკარს მათთან ბინაზე მიაქვს წიგნები.

ბიბლიოთეკარი მემინდვრეების ხშირი სტუმარია. საგაზაფხულო ხვნა-თესვის დღეებში მან მოაწყო მოძრავი ბიბლიოთეკა და ატარებდა ხმამაღლა კითხვას. მეზობელ კოლმეურნეობაში მოწყობილი აქვს მოძრავი ბიბლიოთეკა, რომელიც ყოველთვიურად ახალი წიგნებით მარაგდება. ლიპარტელიანი მინდვრის სამუშაოების დროს ბრიგადებს ეხმარება საველე გაზეთების გაფორმებასა და წერილების დამუშავებაში.



[illegible]

# სპორტის ამბები

## მსოფლიო პირველობა ტანვარჯიშში

დღეს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონის სპორტის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნება მსოფლიო პირველობის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში. დიდ დარბაზს, სადაც ეს ასპარეზობა გაიმართება, დაამშვენებს მსოფლიოს 24 ქვეყნის სახელმწიფო ალმები.

დამტკიცებულია სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობა. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ: ს. და ვ. მურატოვები, ლ. კალინინა, ვ. ლიპატოვი, პ. სტოლბოვი (მოსკოვი), თ. მანინა (ლენინგრადი), ლ. ლატინინა, რ. ბორისოვა, ბ. შახლინი, ი. ტიტოვი (კიევი), ა. აზარიანი (ერევანი), პ. ასტახოვი (სტალინო).

სპორტსმენთა სავალდებულო ვარჯიშები 6 ივლისს დაიწყება.

## საერთაშორისო მატჩები

საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფება საფრანგეთის საკლუბო გუნდი „რესინგი". პირველი საერთაშორისო ამხანაგური მატჩი სტუმრებმა გამართეს 3 ივლისს დედაქალაქის „ტორპედოსთან" და გამარჯვეს ანგარიშით 5:2.

მორიგ შეხვედრებს ფრანგი ფეხბურთელები გამართავენ ლენინგრადსა და თბილისში.

* * *

სტალინაბადში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები ფრენბურთში ჩინეთისა და ტაჯიკეთის გუნდებს შორის. მატჩები აღინიშნა სტუმართა უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით. ქალთა გუნდმა გაიმარჯვა 3:1, 3:1, ვაჟთა გუნდმა — 3:0, 3:1.

## წყალბურთელთა ტურნირი

ბელგიის ქალაქ ლა-ლუვიერში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში სსრ კავშირის, იუგოსლავიის, პოლონეთისა და ბელგიის გუნდების მონაწილეობით. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გუნდები. გაიმარჯვეს საბჭოთა წყალბურთელებმა 5:4.

## სტუდენტთა ზონალური შეჯიბრება

ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების და მოლდავეთის სსრ სტუდენტთა ზონალური შეჯიბრების პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის ბევრ სახეობაში ასპარეზობა დამთავრდა.

კლასიკურ მოჭიდავეთა შეჯიბრებაში გუნდური პირველი ადგილი აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა დაიკავეს. პირად ჩათვლაში უძლიერესი იყვნენ: აზერბაიჯანიდან — მ. ორუჯევი, გ. გრიგორიანი, ვ. თაიროვი, ა. იბრაგიმოვი; საქართველოდან — ა. ქორიძე, ზ. უგრეხელიძე, პ. კუბლაშვილი და ს. სეფაშვილი.

გამოვლინდნენ აგრეთვე სტუდენტთა საკავშირო ასპარეზობის ფინალში მონაწილენი თავისუფალ ჭიდაობაში. გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყვნენ საქართველოს წარმომადგენლები.

შეჯიბრება ფარიკაობაში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა.

რედაქტორი პ. რატიანი.

# სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი

(1957 წლის გამოშვება)

## ოფიციალური ცხრილი

მოგებათა 1-ლი ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1958 წლის 29 ივნისს ქალაქ მოსკოვში.

მოგება ხვდა სესხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

| სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 220073 | 1—50 | 200 | 224064 | 1—50 | 200 | 229277 | 1—50 | 200 | 231950 | 1—50 | 200 | 236124 | 30*) | 1.000 |
| 220100 | 37*) | 1.000 | 224190 | 1—50 | 200 | 229288 | 49*) | 1.000 | 232022 | 1—50 | 200 | 236132 | 1—50 | 200 |
| 220389 | 1—50 | 200 | 224207 | 1—50 | 200 | 229415 | 1—50 | 200 | 232201 | 1—50 | 200 | 236596 | 1—50 | 200 |
| 220603 | 1—50 | 200 | 224400 | 1—50 | 200 | 229581 | 1—50 | 200 | 232245 | 1—50 | 200 | 236658 | 1—50 | 200 |
| 220651 | 1—50 | 200 | 224451 | 1—50 | 200 | 229633 | 1—50 | 200 | 232381 | 1—50 | 200 | 236747 | 1—50 | 200 |
| 220673 | 1—50 | 200 | 224774 | 1—50 | 200 | 229737 | 1—50 | 200 | 232394 | 1—50 | 200 | 236758 | 1—50 | 200 |
| 220676 | 09*) | 1.000 | 224896 | 1—50 | 200 | 229816 | 1—50 | 200 | 232428 | 1—50 | 200 | 236781 | 1—50 | 200 |
| 220737 | 1—50 | 200 | 224964 | 1—50 | 200 | 229850 | 1—50 | 200 | 232441 | 29*) | 5.000 | 236926 | 1—50 | 200 |
| 220860 | 1—50 | 200 | 224965 | 1—50 | 200 | 229931 | 22*) | 1.000 | 232533 | 1—50 | 200 | 236982 | 1—50 | 200 |
| 220999 | 1—50 | 200 | 225006 | 1—50 | 200 | 229953 | 1—50 | 200 | 232676 | 1—50 | 200 | 237021 | 24*) | 1.000 |
| 221022 | 1—50 | 200 | 225211 | 1—50 | 200 | 229978 | 1—50 | 200 | 232694 | 1—50 | 200 | 237061 | 1—50 | 200 |
| 221151 | 1—50 | 200 | 225390 | 1—50 | 200 | 230000 | 1—50 | 200 | 232714 | 1—50 | 200 | 237145 | 1—50 | 200 |
| 221339 | 1—50 | 200 | 225623 | 1—50 | 200 | 230052 | 1—50 | 200 | 232788 | 1—50 | 200 | 237227 | 1—50 | 200 |
| 221450 | 1—50 | 200 | 225756 | 1—50 | 200 | 230085 | 1—50 | 200 | 232979 | 1—50 | 200 | 237256 | 24*) | 1.000 |
| 221471 | 1—50 | 200 | 225795 | 1—50 | 200 | 230091 | 16*) | 1.000 | 233052 | 1—50 | 200 | 237286 | 1—50 | 200 |
| 221573 | 24*) | 1.000 | 226007 | 1—50 | 200 | 230096 | 1—50 | 200 | 233271 | 1—50 | 500 | 237328 | 1—50 | 200 |
| 221778 | 1—50 | 200 | 226096 | 1—50 | 200 | 230134 | 1—50 | 200 | 233443 | 1—50 | 200 | 237589 | 1—50 | 200 |
| 221813 | 18*) | 5.000 | 226113 | 1—50 | 200 | 230177 | 1—50 | 200 | 233507 | 1—50 | 200 | 237634 | 1—50 | 200 |
| 221884 | 1—50 | 200 | 226150 | 1—50 | 200 | 230528 | 20*) | 1.000 | 233598 | 44*) | 1.000 | 237676 | 47*) | 1.000 |
| 221918 | 1—50 | 200 | 226182 | 1—50 | 200 | 230531 | 1—50 | 200 | 233608 | 1—50 | 200 | 237773 | 1—50 | 200 |
| 222072 | 1—50 | 200 | 226243 | 1—50 | 200 | 230700 | 1—50 | 200 | 233651 | 1—50 | 200 | 237775 | 1—50 | 200 |
| 222217 | 1—50 | 200 | 226266 | 1—50 | 200 | 230728 | 1—50 | 500 | 233683 | 1—50 | 200 | 237877 | 1—50 | 200 |
| 222227 | 1—50 | 200 | 226329 | 1—50 | 500 | 2307[illegible]4 | 1—50 | 200 | 233984 | 1—50 | 200 | 237897 | 1—50 | 200 |
| 222246 | 1—50 | 200 | 226459 | 1—50 | 200 | 230754 | 1—50 | 200 | 234063 | 1—50 | 200 | 237903 | 1—50 | 200 |
| 222270 | 1—50 | 200 | 226612 | 1—50 | 200 | 230762 | 1—50 | 200 | 234144 | 1—50 | 200 | 237957 | 1—50 | 200 |
| 222279 | 1—50 | 200 | 226671 | 1—50 | 200 | 230788 | 1—50 | 200 | 234155 | 1—50 | 200 | 237987 | 1—50 | 200 |
| 222330 | 1—50 | 200 | 226899 | 1—50 | 200 | 230830 | 1—50 | 500 | 234158 | 1—50 | 200 | 238139 | 1—50 | 200 |
| 222365 | 1—50 | 200 | 227037 | 1—50 | 200 | 230832 | 1—50 | 200 | 234264 | 1—50 | 200 | 238152 | 1—50 | 200 |
| 222380 | 1—50 | 200 | 227157 | 1—50 | 200 | 230844 | 44*) | 1.000 | 234292 | 1—50 | 200 | 238436 | 1—50 | 200 |
| 222535 | 1—50 | 200 | 227171 | 1—50 | 200 | 230847 | 15*) | 1.000 | 234380 | 1—50 | 200 | 238543 | 1—50 | 200 |
| 222739 | 1—50 | 200 | 227223 | 1—50 | 200 | 230880 | 1—50 | 200 | 234386 | 02*) | 1.000 | 238777 | 1—50 | 200 |
| 222790 | 1—50 | 200 | 227246 | 1—50 | 200 | 230981 | 1—50 | 200 | 234417 | 1—50 | 200 | 238943 | 1—50 | 200 |
| 222833 | 33*) | 1.000 | 227275 | 1—50 | 200 | 231070 | 1—50 | 200 | 234641 | 25*) | 1.000 | 238972 | 1—50 | 200 |
| 222924 | 1—50 | 200 | 227312 | 1—50 | 200 | 231082 | 1—50 | 200 | 234798 | 1—50 | 200 | 239020 | 1—50 | 200 |
| 222979 | 1—50 | 200 | 227402 | 1—50 | 200 | 231103 | 1—50 | 200 | 234939 | 1—50 | 200 | 239077 | 1—50 | 200 |
| 223056 | 1—50 | 200 | 227521 | 1—50 | 200 | 231108 | 1—50 | 200 | 235229 | 1—50 | 200 | 239097 | 1—50 | 200 |
| 223212 | 1—50 | 200 | 227767 | 1—50 | 200 | 231189 | 1—50 | 200 | 235257 | 1—50 | 200 | 239124 | 1—50 | 200 |
| 223241 | 1—50 | 200 | 227905 | 1—50 | 200 | 231256 | 1—50 | 200 | 235263 | 1—50 | 200 | 239174 | 1—50 | 200 |
| 223389 | 07*) | 1.000 | 227993 | 1—50 | 200 | 231263 | 1—50 | 200 | 235435 | 43*) | 1.000 | 239220 | 1—50 | 200 |
| 223411 | 1—50 | 200 | 228113 | 1—50 | 200 | 231358 | 1—50 | 200 | 235448 | 1—50 | 200 | 239250 | 1—50 | 200 |
| 223501 | 1—50 | 200 | 228157 | 1—50 | 200 | 231385 | 1—50 | 200 | 235515 | 1—50 | 200 | 239323 | 1—50 | 200 |
| 223548 | 1—50 | 200 | 228189 | 1—50 | 200 | 231498 | 1—50 | 200 | 235533 | 1—50 | 500 | 239478 | 1—50 | 200 |
| 223571 | 1—50 | 200 | 228205 | 1—50 | 200 | 231575 | 1—50 | 200 | 235626 | 1—50 | 200 | 239520 | 1—50 | 200 |
| 223601 | 1—50 | 200 | 228471 | 1—50 | 200 | 231610 | 1—50 | 200 | 235709 | 1—50 | 200 | 239562 | 1—50 | 200 |
| 223603 | 1—50 | 200 | 228504 | 1—50 | 200 | 231639 | 1—50 | 200 | 235742 | 1—50 | 200 | 239816 | 1—50 | 200 |
| 223716 | 1—50 | 200 | 228642 | 1—50 | 200 | 231762 | 1—50 | 200 | 235845 | 1—50 | 200 | 239885 | 1—50 | 200 |
| 223883 | 1—50 | 200 | 228720 | 1—50 | 200 | 231827 | 1—50 | 200 | 236068 | 1—50 | 500 | 239901 | 1—50 | 200 |
| 224027 | 17*) | 1.000 | 228939 | 1—50 | 200 | 231898 | 1—50 | 200 | 236110 | 1—50 | 200 | 239953 | 1—50 | 200 |

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ქალ. მოსკოვის კრასნაია პრესნიას მშრო- [illegible]

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ფარმაცევტული სასწავლებელი აწარმოებს მოსწავლეთა მიღებას 1958-59 სასწავლო წლისათვის ქართული სექტორის მე-2 კურსზე.

სასწავლებელი ამზადებს საშუალო სამედიცინო კადრებს პროვიზორის თანაშემწის სპეციალობით.

სასწავლებელში მიიღებიან ორივე სქესის პირები 30 წლის ასაკამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სრული საშუალო სკოლა. სწავლის ხანგრძლივობა 2 წელია.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებული მედალოსნები დადგენილი ნორმის ფარგლებში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ, დანარჩენები აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), 2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება). აღნიშნულის გარდა იწარმოებს შემოწმებითი გამოცდა რუსულ ენაში. სასწავლებელში შემსვლელს დირექტორის სახელზე პირადად შემოაქვს განცხადება შემდეგი საბუთების თანდართვით:

1. განათლების მოწმობა (ატესტატი) დედანი, 2. დაბადების მოწმობის პირი (შემოწმებული ნოტარიუსით) ან პასპორტი, 3. ავტობიოგრაფია, 4. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3X4 სმ), 5. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № 286), 6. ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ (სამხედრო ვალდებულთათვის), 7. სამსახურიდან ცნობა თანამდებობისა და მუშაობის სტაჟის აღნიშვნით, ხელმოწერილი დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ და შემოწმებული რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომების მიერ, 8. დახასიათება უკანასკნელი სამსახურის ადგილიდან, ხელმოწერილი დაწესებულების ხელმძღვანელისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ, 9. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

მე-7 და მე-8 პუნქტებში აღნიშნულ დოკუმენტებს ადგენს მხოლოდ ის პირი, რომელსაც აქვს ორი ან მეტი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 აგვისტომდე. მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში დადგენილი ნორმის მიხედვით პირველ რიგში სასწავლებელში კონკურსის გარეშე ჩაირიცხებიან:

ა) ორი ან მეტი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონე პირები, ბ) სამამულო ომის მონაწილენი, გ) საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებული პირები. საბუთები მიიღება სასწავლებლის კანცელარიაში ა. წ. 31 ივლისამდე, საღამოს 5-დან 8 საათამდე.

სასწავლებელში ჩარიცხულთ დაენიშნებათ სტიპენდია აკადემიური წარმატების და ოჯახური მდგომარეობის მიხედვით.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. მეცადინეობა — საღამოს ოთხი საათიდან.

სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, ქუთაისის ქ. № 20, ტელ. № 3-50-64.

გაზეთ „კომუნისტის" 3 ივლისის ნომერში გამოცხადებულ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა მთავარი სამმართველოს განცხადების დამატებით ცხადდება, რომ თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტში გამოცხადებულ კონკურსს ემატება შემდეგი თანამდებობები: ექიმი-რენტგენოლოგი — 2 ერთეული, ექიმი-გინეკოლოგი — 2 ერთეული, სამკურნალო ფიზკულტურის ექიმი — 1 ერთეული.

# ტელეგადაცემათა პროგრამა

## 5 ივლისისათვის

18.00 — ფეხბურთის საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრის რეპორტაჟი თბილისის „დინამოს" სტადიონიდან (ერთმანეთს შეხვდებიან ფეხბურთელთა გუნდები „ვიენა" — ავსტრია და თბილისის „დინამო"), 20.00 — გადაცემა ბავშვებისათვის — „ჩვენი საყვარელი გმირები", 20.30 — კინოჟურნალი, 20.40 — მხატვრული ფილმი „გულის სახსოვარი".

# დღეს

## თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — გედების ტბა (მე-6 აბ. მე-10 წარმ.), გრიბოედოვის სახელობის — მეექვსე სართული, ფილარმონიის საზაფხულო—სიცილიც, ცრემლებიც, სიყვარულიც (ლენინგრადის თოჯინების დიდი თეატრის სპექტაკლი 9 ს.).

## კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), საქართველო (წითელი დარბაზი), კოლხიდა (საზამთრო და საზაფხულო), პლეხანოვის სახელობის კლუბი (საზაფხულო) — ჩარლი ჩაპლინის კინოკომედიები, ამირანი (საზამთრო) — „1918 წელი", ამირანი (საზაფხულო), ისანი (საზაფხულო), კომკავშირელი, საქართველო (საზაფხულო), პლეხანოვის სახელობის კლუბი (საზამთრო), ოფიცერთა სახლი, ყაზბეგი — შავი ზღვისაკენ, ფილარმონიის ბაღი, სპარტაკი — ბედნიერი წისქვილი.

ჩქ 03715

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.